# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 1 ოქტომბერი, 2010 წელი.

№183 (6549)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ჩვენი პრემიერის პრეზიდენტი რას იზამს?



რაო, ② ვითომ აქაური რეალური „მეორე“ დაემორჩილება ნომინალურ „პირველს“?

## ინგლისურ ენით ჟღურტული, იცოცხლე, კარგი რამ არის, მაგრამ ეს უნდა გვახსოვდეს, მშობლიურია მთავარი! ⑤




## დონალდ ტრამპმა თავისი მზერა საქართველოს უძრავი ქონების ბაზარს მიაპყრო ⑧



## ③ აღვირი სააკაშვილისთვის

## ზნეობრივი კოლაფსის ფონზე მოღადავე ოპოზიცია ③







## ფრთხილად! რუსები ახალ საზღვრებს გვიკანონებენ! ④



## წუთისოფლის მარადიული მგზავრი

## ცა მიწიდან იწყება

⑥ სხვადასხვა დროის ჩანაწერები ⑦



მიგანქარდი, ბატონებო?!

# ჩვენი პრემიერის პრეზიდენტი რას იზამს?

## რაო, ვითომ აქაური რეალური „მეორე“ დაემორჩილება ნომინალურ „პირველს“?

**ეს მასალა ორი რუსი ქსიუშა ჟურნალისტისთვის — სოკოლოვასა და სობჩაკისთვის მიხეილ სააკაშვილის მიერ ახლახან მიცემულმა ინტერვიუმ დამაწერინა. უფრო სწორად, რუსულ ჟურნალში გამოქვეყნებული ამ ინტერვიუს პირველი ნაწილის ერთმა კითხვა-პასუხმა. კიდევ უფრო სწორად კი — ამ კითხვა-პასუხს „შეხმატკბილებულმა“ ერთმა რუსულმა ანეკდოტმა, ინტერნეტში რომ წავიკითხე: „დაიხსომეთ, ბავშვებო! — ეუბნება მასწავლებელი მოსწავლეებს, — არასწორია გამოთქმა: „პრეზიდენტის პრემიერა“. უნდა თქვათ ასე: „პრემიერის პრეზიდენტი“.**

რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი რომ მართლაც პრემიერისაა, ანუ უპუტინოდ მედვედევი ფაქტობრივად ნაბიჯს რომ ვერ დგამს და რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ ღებულობს, ფაქტია. ეს აღნიშნა კიდეც ზემოხსენებულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც სოკოლოვამ ჰკითხა:

**— „ბოლოს როდის გქონდათ ურთიერთობა პუტინთან?**

**— 2008 წელს ორჯერ დავურეკე მედვედევს. ყურმილი ორივეჯერ პუტინმა აიღო.**

**— რატომ?**

**— იმიტომ, რომ საკითხებს რეალურად ის წყვეტს“.**

რომ იტყვიან, მეც მანდა ვარ, ვეთანხმები მიხეილ სააკაშვილს.

თუმცა ერთი კია: სოკოლოვას არ უკითხავს (ყოველ შემთხვევაში, ვიმეორებ, ინტერვიუს გამოქვეყნებულ პირველ ნაწილში), მაგრამ მე მინდა ვკითხო რუსთათვის გარესპონდენტებულ ჩვენს პრეზიდენტს: **თქვენი აზრით, მიხეილ ბატონო, 2013 წელს არჩეული ჩვენი პრემიერის პრეზიდენტი** (დავით ბაქრაძე იქნება იგი, ლევან ვარშალომიძე თუ სხვა ვინმე, რა მნიშვნელობა აქვს!) **რას იზამს, ვითომ თქვენგან დამოუკიდებლად მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას?**

არ მითხრათ ახლა, მე რა შუაში ვარო!

**არა, ბატონო, შუაში ყოფნას ვინ გაკადრებთ, შუაში კი არა, თავში ხართ, სულ თავში!**

**რაო? დავიჯერო, მართლა არაფერი არ იცოდით და ისე შეგიკერათ „საკონსტიტუციო ჭრა-კერვის“ სახელმწიფო კომისიამ საპრემიერო ჩოხა?**

**რა ვიცი, ავი ენები (ასეთებს ჩვენში რა გამოლევს!) ამბობენ, — როგორ გეკადრებათ, არაფერი არ იცოდა კი არა, თავად შეუკვეთა და „პრიმერკაც“ ბევრჯერ გაიკეთაო!**

ეჰ, რას გაუგებ ასეთ ადამიანებს. მათი თურმე ვერც თვით დავით ბაქრაძეს გაუგია, პარლამენტის თავმჯდომარეს.

აი, რა უთხრა მან **„რეზონანსის“** კორესპონდენტს:

**„ეს ადამიანები** (ჩემგან ნახსენები ავი ენების პატრონები ჰყავს მხედველობაში — რ. რ.) **საყვედურობდნენ ადრე ხელისუფლებას, რომ პრეზიდენტის ხელში ბევრი უფლებამოსილება იყო, ხოლო მას შემდეგ კი, რაც ეს უფლებამოსილებები გადანაწილდა და მათი ნაწილი პრემიერ-მინისტრს დაეკისრა, იგივე ადამიანები ხელისუფლებას ახლა პრემიერ-მინისტრის გაძლიერებას საყვედურობენ“.**

ერთი რამ მინდა თქვენც გკითხოთ, ვითომ მეტისმეტი გულუბრყვილობის გამო ზოგჯერ თითქოს ვერაფერს რომ ვერ ხვდებით ისეთი გამომეტყველებით და უწერტილმძიმოდ მოსაუბრე, დავით ბატონო:

**მართლა გულწრფელად გჯერათ რასაც, რატომაც და რისთვისაც ამბობთ და ვერ ხვდებით რა, რატომ და, უკვე რისთვის კი არა, ვისთვის კეთდება?**

კარგით, დავუშვათ ვერ ხვდებით, რადგან, კვლავ დავუშვათ, ყველაფერი საოცრად სამართლიანად, ნებისმიერი დაწერილი თუ დაუწერელი კანონის (რომლებიც, სხვათა შორის, ნორმალურ საქართველოში ხშირად დაწერილზე მეტად ჭრიდა!) ზუსტი შესაბამისობით კეთდება!



**ამიტომ, გთხოვთ, კიდევ ერთხელ დამიდასტუროთ თქვენს მიერვე მრავალგზის ნათქვამი, რომ ჩვენ „ვარდების რევოლუციის“ მერე უბრალოდ დემოკრატიულ კი არა, ლამის ჭეშმარიტი დემოკრატიის შუაგულ ქვეყანაში ვცხოვრობთ.**

ადასტურებთ? კეთილი, გმადლობთ!

ჰოდა, თუ ასეა, ახლა როგორღა ამბობთ (თქვენს გარდა ნაცელიტის სხვა წარმომადგენლებიც მყავანან მხედველობაში), ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი ჯეროვნად არ იყო დაცული და პრეზიდენტს მეტისმეტად ბევრი უფლებამოსილება ჰქონდაო?

**თუ ასეა, იქნებ გვითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამებოდა და შეესაბამება ეს ყველაფერი დემოკრატიას?**

ან ამ საკონსტიტუციო „ჭრა-კერვით“ პრეზიდენტისთვის ჩამორთმეული უფლებამოსილების პრემიერისთვის გადაცემით, ანუ ერთის დასუსტების ხარჯზე მეორის გაძლიერებით რეალურად რაიმე შეიცვლება?

გეკითხებით, პავლესთვის სავლეს დარქმევით რამე შეიცვლება?

**არც ის იცით, ვინ იქნება პრემიერი 2013 წლის არჩევნების შემდეგ?**

**ეჭვადაც არ იცით?**

აუჰ, როგორ მეცოდებით, რამსიღრმე ჭურში მჯდარხართ!

აი, მოუსმინეთ ნაცებისთვის საყვარელ პიროვნებას:

**„ამ ცვლილებით მიხეილ სააკაშვილი რჩება პრეზიდენტად, ოღონდ მას ერქმევა პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტად დასვამს ვიღაც „ჩიბურაშკას“, უსახო არსებას, რომლებიც მის გარშემო მრავლად არიან“.**

„ჯიქანზე“ იცანით, ანუ სტილით მიხვდით, ვინც უთხრა ეს სიტყვები **„ახალი თაობის“** კორესპონდენტს?

მართალი ბრძანდებით, სწორედ შალვაა, ნათელაშვილი.

რაო? მაგას მტერმა უსმინა და დაუჯერაო?

მაშინ იქნებ თვითონ ბატონ მიხეილს ჰკითხოთ?

რა ჰკითხოთ? ახლავე გეტყვით.

ბატონმა მიხეილმა, მოგეხსენებათ, საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრისას თქვა, **მართალია, ქვეყანას ძლიერი პრეზიდენტი სჭირდება, მაგრამ მე კენჭისყრას არ ვაპირებ იმის მიუხედავად, რომ გამოკითხვების მიხედვით, გამარჯვების შანსი ისევ ისე მაქვსო** (თითქოს არ იცის, რომ მესამე ვადით პრეზიდენტობა მოქმედი კონსტიტუციით აკრძალულია და თითქოს სწორედ ამის გათვალისწინებით — არიქა ჩვენმა შეფმა შეჩვეული სავარძელი არ დაკარგოსო, — არ „აპაჩიკებენ“ ახლა კონსტიტუციას!).

აი, ამის გათვალისწინებით ჰკითხეთ პრეზიდენტს, დავით ბატონო, — **არც პრემიერ-მინისტრობაზე დაგვთანხმდება?**

თუ ღმერთი გწამთ, თუ ამაზეც „ატკაზს“ გვირტყამს, იქნებ როგორმე დაიყოლიოთ, **ყელი არ გამოგვჭრას და არ დაგვყაროს უპატრონოდ!**

ბატონო დავით, პირადად მე ვინმეს, რომელიმე კონკრეტული პიროვნების კატეგორიული წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ ზოგიერთი შემთხვევით ალზევებულის მიერ ხალხისთვის (მასში მეც ვითვლები, ცხადია), როგორც ცხვრის ფარისთვის, ზევიდან ყურებას ვერ ვიტან!

იფ, რა კარგია, ეს „ზოგიერთები“ ტელესპექტაკლ „უჩინმაჩინის ქუდში“ ეროსი მანჯგალაძის გმირივით „მიგანქარდიო“, დაიძახებენ და თითქოს უჩინარნი ხდებიან და ჰგონიათ, ვერც ვერავინ გვხედავს და ვერც ჩვენს ნამდვილ ჩანაფიქრს შიფრავს ვინმეო!

კარგით რა, თუ იმ „ზოგიერთებს“ თავის მოსულელება სიამოვნებთ, კი, ბატონო, ოღონდ ხალხის გასულელება-დაბოლებას ნურც შეეცდებიან!

თუმცა, ვგონებ, კმარა ამდენი მორალი და შეგონება. ამიტომ ისევ ბატონ მიხეილს მინდა განმეორებით ვკითხო:

**თქვენი აზრით, ბატონო პრეზიდენტო, 2013 წლის შემდეგ რეალური „მეორე“ დაემორჩილება ნომინალურ „პირველს“, ანუ ქართველი „პუტინიძე“ ქართველივე „მედვედაშვილის“ მითითებებს შეასრულებს?**

**რად და რა გვიკვირს რუსი მედვედევ-პუტინის დუეტისა, როცა ფაქტობრივად თითქმის ყველაფერში მას ვბაძავთ?**

რუსლან რუსია

ეუთოს დასკვნა

**არჩევნებში გამოვლენილი საზოგადოების ნდობის ხარისხი დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა. თვითმმართველობის არჩევნებმა პროგრესი უჩვენა, მაგრამ მნიშვნელოვანი ხარვეზები კვლავაც გამოსასწორებელია, მათ შორის საკანონმდებლო ჩარჩო, მისი იმპლიმენტაცია, არათანაბარი შესაძლებლობები და საარჩევნო დანაშაულის ცალკეული შემთხვევები, — ამის გარდა კიდევ უამრავი შენიშვნა აქვს ეუთოს სადამკვირვებლო მისიას 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით...**

ცესკო იხტიბარს არ იტეხს და ამბობს, რომ ეუთომ ძირითადად დადებითად შეაფასა არჩევნები, მით უმეტეს, ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას შეეხება: „ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალმა თავმჯდომარემ ძალისხმევა არ დაიშურა და ყველა საკითხზე კომისიის წევრებთან კონსენსუსს მიაღწია, მათ შორის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან“.

ამის გარდა, სხვა დანარჩენი შენიშვნებს უფრო ეთმობა, ვიდრე ქება-დიდებას. ეუთომ დასკვნის გამოქვეყნება რატომღაც დააგვიანა, დადგენილი წესით ის აგვისტოში მზად უნდა ყოფილიყო. გუშინ სასტუმრო „რედისონში“ ცესკომ ამ დასკვნის პრეზენტაცია მოაწყო.

# რა გასაკვირია, საზოგადოება არჩევნებს რომ არ ენდობა

## ხარვეზები, შენიშვნები, დანაშაულის შემთხვევები...

ხარვეზების ჩამოთვლაში ისეთი ასპექტებია მოყვანილი, არჩევნების მართებულობასა და ობიექტურობაში შეუძლებელია ეჭვი არ შეგეპაროს. დავიწყოთ იმით, რომ ეუთოს დასკვნაში ხაზგასმულია კანდიდატობის მსურველთა ხმის უფლების შეზღუდვა (დამოუკიდებელ კანდიდატს არ ჰქონდა დარეგისტრირების უფლება), არ იყო უზრუნველყოფილი ხმების თანაფარდობის უფლება (მაგალითად, 120-ათასიანი ამომრჩეველი და 5 ათასი ამომრჩეველიც თითო კანდიდატს ირჩევდა), განსაკუთრებით გამოყოფილია ის პირობები, რომლებიც საარჩევნო კამპანიის წარმოებისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეუზღუდავ უფლებას ანიჭებდნენ რიგ საჯარო მოხელეებს. დასკვნაში ნათქვამია, რომ ზოგჯერ სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის განსხვავება გამოკვეთილი არ იყო, ასევე არ იყო გამიჯნული საჯარო პირების ოფიციალური და პარტიული ფუნქციები. შეზღუდული იყო საარჩევო კომისიის დაფინანსების მონიტორინგი. ეს ორივე თემა საგულისხმოდ მიიჩნია ცესკოს თავმჯდომარემაც. ხარატიშვილის თქმით, ამ მიმართულებით საარჩევნო სისტემაში ცვლილებები აუცილებლად უნდა შევიდეს.

ეუთოს არც მედია გამორჩენია. დასკვნის მიხედვით, საქართველოში მედიაგარემო მრავალფეროვანია, თუმცა პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით არის დაყოფილი. ბევრი მათგანი მფლობელის ძლიერ გავლენას განიხილავს. გამჭვირვალე არ არის მედიასაშუალებების მფლობელთა ვინაობა. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ახალ ამბებში კამპანიის ბალანსირებული სურათი წარმოადგინა, სხვა ტელეარხებმა კი ნაკლებად დაბალანსებულად გააშუქეს. ზოგი მათგანი ხელისუფლებას თანაუგრძნობდა, ზოგი კი ოპოზიციას. ფასიანი რეკლამის მაღალი ფასი კანდიდატების მიერ მედიაკამპანიის წარმოების შესაძლებლობებს ზღუდავდა.

ძალიან ბევრი შენიშვნა აქვს სადამკვირვებლო მისიას ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მარკირების, ხმის დათვლის, ოქმების შედგენის პროცესებთან მიმართებაში: „ხმის დათვლის პროცესი უფრო ნეგატიურად შეფასდა, ყოველი ხუთი დათვლიდან ერთი ცუდად ან ძალიან ცუდად ჩაითვალა. დათვლის პროცესების ერთ მეოთხედზე მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევები აღინიშნა“.




**ამ შენიშვნების შემდეგ იმაზე წერა, რომ საარჩევნო კოდექსი საფუძვლიანად შესწორდა 2009 წლის დეკემბერში, საარჩევნო ადმინისტრაციამ აღნიშნული არჩევნები პროფესიონალურ დონეზე და გამჭვირვალედ ჩაატარა, საარჩევნო კამპანია საკმაოდ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მედია საშუალებებით გადაიცემოდა არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა პროგრამები, რაც ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევდა და ა. შ. იმდენად უფერულდება, რომ ეუთოს დასკვნის პრეამბულაში ნათქვამი „პროგრესი“ ძალიან ცუდ დატვირთვას იძენს. ამის მერე, რა გასაკვირია, რომ საქართველოში არჩევნებს საზოგადოება ყოველთვის უნდობლად უყურებს.**

ნია ფიფია

## თავისუფალი ტრიბუნა

*გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენად გამოაცხადა ქართულმა პოლიტოლოგიამ და მედიამ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ფაქტს საზოგადოების ოდნავი დაინტერესებაც არ გამოუწვევია, რადგან ხალხი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ამგვარ საერთაშორისო თავყრილობებს გარკვეულ მნიშვნელობას ჯერ კიდევ ანიჭებდა, დღეს უკვე ხვდება, რომ ეს სამიტები, ასამბლეები, მინისტერიალები და ფორუმები ისეთივე უსაგნო ლაყბობაა, როგორი უსაგნო ლაყბობაც სააკაშვილის მიერ მოწყობილი სამთავრობო სპექტაკლები და საქართველოს პარლამენტის სხდომებია. ამიტომ, იქნებ არც ღირდა ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღების გამახვილება, რომ არა ერთი გარემოება: რა უსაგნო ლაყბობადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ის, რაც ამ მაღალი თავყრილობებიდან ისმის, საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციები და სენტენციები, რომლებიც მომავალში საერთაშორისო ვითარებაზე აუცილებლად აისახება, ყველაზე კარგად მაინც ამგვარ ფორუმებზე ჩანს და იკითხება...*

# ალვირი სააკაშვილისთვის

სააკაშვილის მოხსენება ამ თვალსაზრისით მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან სწორედ მისი „მოხსენების“ ფონზე წარმოჩინდა ყველაზე კარგად, თუ რა ტენდენციების ჭიდილი მიდის, რას რა უპირისპირდება, რომელი ტენდენციაა პერსპექტიული და რომელია ის მიმართულება, რომელიც მარცხისთვის არის განწირული. სიტყვა „მოხსენება“ წინწკლებში იმიტომ ჩავსვით, რომ ძნელია მოხსენება დაარქვა მონაყოლს, რომელსაც არა აქვს თავი და ბოლო, არა აქვს შინაგანი ლოგიკა, განვითარება, არ არის კომპოზიციურად შეკრული და ა.შ. ამგვარ „მოხსენებებს“ ქართველი თამადები ხშირად აკეთებენ მეთექვსმეტე ან მეჩვიდმეტე სადღეგრძელოში, მაგრამ ეს ყველაფერი იქით იყოს...

სააკაშვილის ნათქვამ „სადღეგრძელოში“ ერთი მთავარი თეზა გაჟღერდა: არ არსებობს არავითარი ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია. კავკასია ერთი მთლიანი ორგანიზმიაო. თუ გავიხსენებთ ამ ცოტა ხნის წინათ სააკაშვილის მიერ ნათქვამ წინადადებას ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის შესახებ, რომელიც მაშინ სრულიად გაუგებარი ეჩვენა ყველას, დღეს, გაეროს მაღალი ტრიბუნიდან წამონასროლი ამ მეორე, ერთი შეხედვით, ასევე გაუგებარი თეზის შემდეგ ყველაფერი გასაგები ხდება.



სააკაშვილი ჯერ კიდევ იბრძვის, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის დასაშლელად.

კავკასიის ერთიანობის იდეა, რომელსაც კავკასიური კონფედერაციის მშენებლობამდე მივყავართ, ავტომატურად გულისხმობს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების რუსეთის შემადგენლობიდან გამოყვანას და ახალ კონფედერაციაში გაერთიანებას. იმ საერთაშორისო პოლიტიკურ მიმართულებაში, რომლის ძირითადი (ყველაზე უხერხული და, პრაქტიკულად, შეუძლებელიძ პოსტულატების გამჟღერებლად დასავლეთს სააკაშვილი სჭირდება და ჰყავს კიდევაც, უმთავრესი სწორედ რუსეთის დაშლაა. ამ საქმეში სააკაშვილი სჭირდებათ – გიჟი თავისუფალიას პრინციპით. ამას რას ჩმახავთო, რომ იკითხოს რუსეთმა, დასავლეთში ხელს სააკაშვილს შეახოცავენ და, როგორც ქართველებმა ვიცით, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის საფეთქელზე მიდებით, რუსეთს ანიშნებენ, გიჟია და რა ვქნათო, მაგრამ ის, რისი გახმოვანებაც უნდათ, ამ სიგიჟის ფონზე, უკვე გახმოვანებულია: კავკასიური კონფედერაციის მშენებლობის ბაზაზე რუსეთის დაშლა. აი, რითი იყო გაეროს ასამბლეაზე სააკაშვილის მოხსენება მნიშვნელოვანი.

მან გაამჟღავნა საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციის ის მიმართულება, რომელიც მთელ რიგ ობიექტურ კანონზომიერებათა გამო უკვე პოლიტიკური ანაქრონიზმია, მაგრამ დასავლეთში გავლენიანი მიმდევრები ჯერ კიდევ ჰყავს.

რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთის დაშლისკენ მიმართული დასავლური ტენდენცია, რბილად რომ ვთქვათ, არარეალური გახდა, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტად ბარაკ ობამას არჩევის შემდეგ ეს მიმართულება, როგორც ზემოთ ვთქვით, სრულ პოლიტიკურ ანაქრონიზმად იქცა, მაგრამ ის პოლიტიკური წრეები და ძალები აშშ-ში, რომლებმაც თავის წიაღში შვეს და აღზარდეს სააკაშვილი, იუშჩენკო, ტიმოშენკო და სხვა მათი მსგავსი პოლიტიკური გენმოდიფიცირების ნაყოფნი, ამ რეალობას ვერ ურიგდებიან, რადგან მთელი მათი პოლიტიკური კარიერა ანტირუსულ ისტერიაზე, ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირებასა და ცივი ომის თეორიაზეა აგებული. პუტინის მიერ მსოფლიოსთვის შეთავაზებული მრავალპოლუსიანი მსოფლიოს იდეა, რომელიც ზესახელმწიფოთა შორის არა დაპირისპირებასა და კონფრონტაციაზე, არამედ თანამშრომლობაზე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ პარტნიორობასა და რაციონალურ-პრაგმატულ ურთიერთობებზე უნდა აიგოს (როგორც ჩანს, ამ იდეას ობამაც იზიარებსძ, ამ ძალებისთვის მისაღები ვერ იქნება, რადგან ამგვარ საერთაშორისო პოლიტიკაში ისინი ადგილს ვერ იპოვნიან. წარმოგიდგენიათ, რა დარჩება სააკაშვილის მსგავსი პოლიტიკოსისგან რუსეთთან დაპირისპირების გარეშე.

რუსეთისგან შექმნილი მტრის ხატის გარეშე იგი სრულ არარაობად იქცევა, რადგან მისი მოღვაწეობის მთელი იმ „პოზიტივის“ ვირტუალურად შექმნა, რომელიც რეალურად ბუნებასა და ცხოვრებაში არ არსებობს, მხოლოდ მტრის ხატის ფონზეა შესაძლებელი.

გამოაცალეთ სააკაშვილს რუსული მტრის ხატი და მისგან დარჩება პოლიტიკური ჩუჩელა, სათამაშო თოჯინა, სრულიად ჩვეულებრივი ტაკიმასხარა, რომელსაც მყისვე სასაცილოდ აიგდებენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ,

მაგრამ დღეს, როდესაც რუსეთისგან შექმნილია მტრის ხატი, ამ ხატის ფონზე, სააკაშვილივით ყავლგასული მაკკეინები ახერხებენ, რომ იგი გოლიათთან მებრძოლ ბიბლიურ დავითად წარმოაჩინონ. სინამდვილეში, ეს „ბიბლიური დავითი“ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ კომპიუტერის „მაუსის“ თუ დისტანციური სამართავი პულტის მეშვეობით მართული ის ვირტუალური „დევგმირია“, რომელიც, როგორც კი რეალურ სამყაროში გადმოდის, რუსული თვითმფრინავის ხმაურის გაგონებაზე, თავზე ხელებს იფარებს და შიშისგან მუხლებმოკვეთილი, მიწაზე, მტვერში გორაობას იწყებს. ასეთი ვრცელი ამპლიტუდაა ვირტუალურ მიშასა და რეალურ მიშას შორის.

პოლიტიკური დემაგოგია, რომელსაც სააკაშვილი გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ეწევა, ისეთივე ვირტუალური და არარეალურია, როგორიც მიშას ბიბლიური დავითობაა.

სააკაშვილის მიერ ნაოცნებარ დაშლილ რუსეთსა და ერთიანი კავკასიის პოლიტიკურ მირაჟს მიღმა ერთიანი საქართველოს კონტურები არ იკვეთება.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაერთიანებულ ჩრდილოეთ ოსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის სოლივით ჩაკვეხებული ისტორიული სამაჩაბლო ძნელი წარმოსადგენია. „ერთიანი კავკასიის“ ფარგლებში, როდესაც თვითონ საქართველო ამ ერთიანი კონგლომერატის შემადგენელი ნაწილი გახდება, როგორ და რანაირად იქცევა აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად, მიშას არ უთქვამს, ამის წარმოსახვა, როგორც ჩანს, ჩვენ, გამჭრიახ ქართველებს მოგვანდო. ერთი სიტყვით, გაეროს ტრიბუნიდან ინგლისურ ენაზე გადმოღვრილ ამ ქართულ სისულელეში გააზრებული, გაცნობიერებული, დალაგებული და თანამიმდევრული არაფერი ყოფილა, გარდა რუსეთის უკიდეგანო სიძულვილისა და საქართველოს მომავლის აბსოლუტურად, უკაცრავად პასუხია და, ფეხზე დაკიდებისა.

ყველაფერი გასაგებია, სააკაშვილი რუსეთის დაშლის მისთვის ასე სანეტარო მიზანს, საქართველოს მომავალს პაიკივით სწირავს.

იხ. 4 გვ.

## მოდი და, ნუ გაოცდები!

# ზნეობრივი კოლაფსის ფონზე მოლადავე ოპოზიცია







**– მოსაწვევი ამ დილით მივიღე და ასე ძალად მიპატიჟებულზე მე არ დავდივარ – ირონიული ღიმილით თქვა სამკაციანი „ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა... საქმე შეეხებოდა წარმომადგენლობითი სახალხო კრების 29 სექტემბრის სხდომას, რომელიც ისედაც ხალხით გადაჭედილ თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა.**

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ისედაც უღიმღამო ქართულ ოპოზიციურ პოლიტიკას მიტმასნილი კობა დავითაშვილი ვის დაჰკარგვია, მაგრამ... ხედავთ, რა ამბიციები აწუხებს, თურმე!

სამი თვეა ქართული ცნობიერების, ნიჭიერების სიმბოლო, რწმენა და სინდისი, დიდი მეოცესაუკუნელი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, საკუთარ მეგობრებსა და თანამოაზრეებთან ერთად ეროვნული კრების გამართვისკენ მოგვიწოდებს, კობა დავითაშვილს კი, ვითომც არაფერი გაუგია, მოსაწვევი რატომ ათი დღით ადრე არ გამომიგზავნეთო!

განა შესაძლებელია ასე პრიმიტიულად მოაზროვნე კაცმა მიხეილ სააკაშვილის გაქნილი პოლიტიკოსებით სავსე ნაცმოძრაობას ოდესმე ბრძოლა მოუგოს?

ან რა გაუაზრებელი, „უჩემოდ ვით იმღერეთას“ კიდევ ერთხელ დამადასტურებელი, სუპერამბიციური იყო „ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის გუბაზ სანიკიძის განცხადება: კრების იდეა მოსაწონია, მაგრამ.. დავფიქრდები 25 ნოემბრისთვის დანიშნულ კრებაზე მივიდე თუ არა!

რა არის დასაფიქრებელი, ძვირფასო ოპოზიციონერო და ისტორიკოსო, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამ გათითოკაცებამ და შინაგანმა ამბიციებმა დაღუპეს საქართველო?

ქარიყლაპია „ლეიბორისტებზე“, 30 ვერცხლად გაყიდულ „რესპუბლიკელებსა“ და „მემარჯვენეებზე“, სხვა ყარტა-ყურტა პარტიებზე კალმის გახარჯვაც არა ღირს, რადგანაც ისინი აშკარად გამიზნულად საქსავენ ჩვენს ისედაც გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებას, თავისი არა იციან და სხვისაც არაფერი სჯერათ...

სრულიად გულწრფელი იყო ყოფილი მოქკავშირელი და ნაციონალი ნინო ბურჯანაძე (რაც მართალია, მართალია – ნინოს ვერავინ შეედრება სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის და ამ რეჟიმით გამოწვეული ეკონომიკურ-ზნეობრივი კოლაფსის სწორად შეფასებაში!), გაკვირვება-გაოცება რომ ვერ დამალა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილებით – არ დასწრებოდნენ სახალხო კრების დამფუძნებელ ფორუმს. არადა, ელემენტარული ჭეშმარიტებაა, მათი თანადგომა უმთავრესი იყო (იქნება 25 ნოემბრისთვისაც!) იმ ეროვნულ ბრძოლაში, რომელიც თითოეულ გონიერ ქართველს მოელის ნაციონალების და მათი მოტყუებული მხარდამჭერების პირისპირ.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სარჩობელაო!“ – ეეეჰ, რა ტყუილად გვმოძღვრავდა დიდი აკაკი...

სადღაა ერთობა, სადღაა ეროვნული თვითშეგნება... პარტიებად და ჯგუფებად დაყოფილი საქართველო უფსკრულისკენ მიექანება!

**სპარტაკ ქობულია**

## ინფორმაცია

# რამდენი უგზოუკვლოდ დაკარგული გვყავს?!

**ევროსაბჭომ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტისა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა შესახებ მიმდინარე გამოძიების მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა.**

**დოკუმენტში მოყვანილია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას ჰამერბერგის მოხსენება.**

**– საქართველოში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა ძალიან ბევრი ხალხი იმსხვერპლა. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში რამდენჯერმე ვეწვიე საქართველოს, ადამიანის უფლებათა კუთხით მდგომარეობის გასაცნობად და იმის გასარკვევად, თუ რა სახის დახმარების გაწევა შეეძლო საერთაშორისო საზოგადოებრიობას. ჩემი სტუმრობის მიზანი იყო ასევე, დავხმარებოდი კონფლიქტის დროს დაკავებულებს ოჯახებში დაბრუნებაში.**

**გარდა ამისა, შევეცადე დამეჩქარებინა სასამართლოში იმ ადამიანთა საქმეების გადაწყვეტა, რომლებზეც არსებობდა ცნობები მეორე მხარეს მათი დაღუპვის ან დაკარგვის შესახებ. შეძლებისდაგვარად შევეცადე ხელი შემეწყო ამ კონტექსტში მხარეებს შორის დიალოგის გამართვისთვის. ამ ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი გახდა ასზე მეტი ადამიანის, მათ შორის არასრულწლოვნების, განთავისუფლება და რამდენიმე ადამიანის ნეშტის ოჯახებისთვის გადაცემა, – ნათქვამია ჰამერბერგის შესავალ სიტყვაში.**

**მისივე განცხადებით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც კონფლიქტის დროს ან მის შემდგომ დაიკარგნენ და მათი ბედი დღემდეც გაურკვეველია.**

**ჰამერბერგის თქმით, გამოძიებაში ჩართული იყო ორი საერთაშორისო ექსპერტი – ბრიუს პეგი და ნიკოლას სებირი. თანდართული მოხსენება სწორედ ამ ექსპერტების მუშაობის შედეგებს ემყარება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## თავისუფალი ტრიბუნა



# ალვირი სააკაშვილისთვის

(მესამე გვერდიდან)

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ხდება ისე, რომ, თუ მიშას გეგმებს გავყვებით, შეწირვის აქტი განხორციელდება, მიზანი კი მიუღწეველი დარჩება. უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, საერთაშორისო პოლიტიკურ ავანტიურას, რომელშიც სააკაშვილია გახვეული და ჩვენს ჩათრევასაც ცდილობს, რუსეთის დაშლის ნაცვლად საქართველოს დაშლა მოჰყვება.

ჩვენდა საბედნიეროდ, ამერიკული ხელისუფლების მთელი თაობების მიერ ასე ნალოლიავები იდეა რუსეთის დაშლისა და მთელ მსოფლიოზე ერთპიროვნული ჰეგემონიზმის დამყარებისა, ველარ განხორციელდება, რადგან ამ ერთმნიშვნელოვნად ბოროტ იდეას, წინ ერთმნიშვნელოვნად კეთილი იდეა აღუდგა, რომელიც ვლადიმერ პუტინის მიერ მიუნხენის 2007 წლის კონფერენციაზე ასე გაჟღერდა: უარი ერთპოლუსიან მსოფლიოს, ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხს უნდა მიეცეს თავისუფალი განვითარების უფლება!

ეს, სააკაშვილის მსგავსად, მხოლოდ სურვილით განპირობებული და იმპულსურად წამონასროლი იდეა კი არ იყო, ობიექტურ კანონზომიერებათა ანალიზისა, უკვე ჩატარებული მძიმე სამუშაოებისა და მომზადებული წინაპირობის გათვალისწინებით ნათქვამი რეალური სამოქმედო გეგმა იყო, რომელიც მთელი ძალით ამუშავდა და მსოფლიოში, პრაქტიკულად, ახალი ვითარება შექმნა. ძალიან თამამად ნათქვამი თუ არ გამომივა, იმასაც კი ვფიქრობ, რომ აშშ-ში არა მაკკეინის, არამედ ობამას არჩევა ამ ახალმა რეალობამაც განაპირობა-მეთქი, რამაც, თავის მხრივ, მრავალპოლუსიანი მსოფლიოსთვის დამატებით ისეთი პირობა (შესაძლოა, გარანტიაცძ შექმნა, რომ პროცესი შეუქცევადი გახდა.

ამგვარი მსოფლიოს ფონზე, საქართველოში საჭირო იყო სრულიად ახლებური პოლიტიკური აზროვნება, რომლის ჩანასახი არსებობდა, მაგრამ განვითარების საშუალება არ ჰქონდა, ვინაიდან საქართველოში ამერიკელთა მიერ მოყვანილი ხელისუფლება და მათ მიერვე მოყვანილი ე.წ. ოპოზიცია ერთნაირად იმართებოდა ამერიკიდან და ერთნაირად იმყოფებოდა იმ პოლიტიკური მირაჟის ტყვეობაში, რომელსაც ახდენა-განხორციელება არ ეწერა. ეს ძალები დღემდე ტივტივებენ საქართველოს პოლიტიკურ მორევზე და ცდილობენ, რომ იგი მყაყე ჭაობად აქციონ, მაგრამ ისტორიული და ობიექტური კანონზომიერებანი ზუსტად იქ და ზუსტად მაშინ წარმოშობენ იმ ავანგარდულ ძალებს, რომლებიც პასუხისმგებლობასაც და ეპოქალურ ტვირთსაც თავის თავზე იღებენ. ერთი წლის წინათ შექმნილმა და გამოჩენილმა ძალამ, რომელსაც საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი ჰქვია და სათავეში ძალიან დიდი გაქანების პიროვნება ალექსანდრე ებრალიძე უდგას, მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში გაბნეულ ქართულ დიასპორათა მობილიზება შეძლო და უკვე ნახევარ მილიონამდე წევრს აერთიანებს. ეს სწორედ ის ძალაა, ვინც ეპოქალური მნიშვნელობის იმ საერთაშორისო პოლიტიკურ მიმართულებას ორგანულად ერწყმის, რომელი მიმართულების შიგნითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობისა და განვითარების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეკონომიკური აღორძინების შანსი და პერსპექტივა ჩნდება. ესაა განსხვავება მიხეილ სააკაშვილის მიერ შემოთავაზებულ და ალექსანდრე ებრალიძის მიერ არჩეულ პოლიტიკურ გზებს შორის.

არჩევანი რთული გასაკეთებელი არ არის, რთული მისი რეალიზება, მისი განხორციელება და უზრუნველყოფაა. ამ საქმეში ვერც მარტო ალექსანდრე ებრალიძისა და ვერც საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის ძალისხმევა საკმარისი ვერ იქნება. აქ, უპირველეს ყოვლისა, ხალხის ნება, მისი სიმწიფე და მისი სიმტკიცეა საჭირო. ხალხმა უნდა გაარჩიოს ერთმანეთისგან ჭეშმარიტი და ყალბი, ნამდვილი და სუროგატი, მართალი და ცრუ, ერთგული და ორგული.

იმ არქაულ, რეგრესულ ძალებს, რომლებიც ბლომად არიან აშშ-შიც, ევროპაშიც, რუსეთშიც და საქართველოშიც, იმედი აქვთ, რომ დემაგოგიური ლაყბობით, დეზინფორმაციის საშუალებებად ქცეული ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოებას აზროვნების უნარს წაართმევენ, მხედველობას დაუბნელებენ და სმენას დაუხშობენ, მაგრამ პირიქით ხდება. მიხეილ სააკაშვილის დემაგოგიურმა მოხსენებამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გაცილებით უფრო მეტი სინათლე შეიტანა იმ საერთაშორისო ავანტიურისტული ჯგუფის ბინძურ ზრახვებში, რომელ ჯგუფთანაც სააკაშვილი ასე მჭიდროდაა დაკავშირებული და რომელი ჯგუფიც მას მთლიანად მართავს. საბედნიეროდ, ამ ჯგუფის შემაკავებელი ალვირი უკვე მოძებნილი და გამზადებულია.

ეს ისეთი ძლიერი და მტკიცე ალვირია, რომ ამერიკული, ხავსმოკიდებული პოლიტიკის უკანასკნელ მოჰიკანთა მიერ „მაუსით“ მართული პოლიტიკოსები ვერ დაგლეჯენ და ვერ დაწყვეტენ. დღეს თუ ხვალ, ისინი იძულებულნი გახდებიან, დაემორჩილონ იმ ალვირის მტკიცე ნებას, რომელიც ისტორიის კანონზომიერებას, ხალხის სურვილს და მისი ნების გამომხატველ და მისივე მსახურ გმირ წინამძღოლებს ეპყრებათ ხელთ.

**ვალერი კვარაცხელია**

## მეცნიერება

# მესაძირკვლე

## ინსტიტუტი 20 წლისაა

**საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან სამკურნალო კერას შორის მუდამ გამორჩეული იყო მსოფლიოში ცნობილი ქალაქი-კურორტი წყალტუბო.**

1985 წელს პროფესორ რევაზ სეფიაშვილის ინიციატივით, წყალტუბოში, სანატორიუმ „მეგობრობის“ ბაზაზე შეიქმნა იმუნოლოგიური ცენტრი, ხოლო 1990 წელს – კლინიკური იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. რამდენიმე წელიწადში ინსტიტუტი ევროპულ სამედიცინო ცენტრად იქცა. დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი არის უნიკალური სამეცნიერო-პრაქტიკული, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით. ინსტიტუტს აქვს მრავალწლიანი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება.



ინსტიტუტში ტარდება ფუნდამენტური და პრაქტიკული გამოკვლევები იმუნორეაბილიტოლოგიაში, ალერგოლოგიაში, მოლეკულურ და კლინიკურ იმუნოლოგიაში, ნეიროიმუნოფიზიოლოგიაში, იმუნური სისტემის ფიზიოლოგიაში, უჯრედულ ტექნოლოგიებში. აგრეთვე მუშავდება დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროგრამები სხვადასხვა ალერგოლოგიურ, აუტოიმუნურ, იმუნოდეფიციტურ და კანის დაავადებებზე.

ინსტიტუტის ბაზაზე განთავსებულია იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციისა და ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის საქართველოს ასოციაციის ოფისები; ოთხი წამყვანი სამეცნიერო და სამედიცინო, მათ შორის – ორი საერთაშორისო ჟურნალის რედაქცია; ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამედიცინო ინსტიტუტის იმუნოლოგიის კურსი; მრავალპროფილიანი ევროპული სამედიცინო ცენტრი, სამკურნალო ბაზაზე, კომპლექს ევროლაბორატორიაში კეთდება 850-ზე მეტი გამოკვლევა. ინსტიტუტს აქვს კლინიკური ბაზები კარლოვი-ვარისა და მკვდარი ზღვის (ისრაელიძ საუკეთესო დასასვენებელ სახლებში; სარეაბილიტაციო ცენტრი შავი ზღვის სანაპიროზე, ფიჭვნარში, ქვიშის პლაჟით.

წყალტუბოს ეროვნული ინსტიტუტის ეგიდით ოცი წლის განმავლობაში ჩატარდა ოცდაათი მსოფლიო, ევროპული და ეროვნული სამეცნიერო ფორუმი.

ინსტიტუტი ახორციელებს ერთობლივ სამეცნიერო პროექტებს მსოფლიოს უმსხვილეს – ვაშინგტონის, ლოს-ანჯელესის, ჩარლსტონის (აშშძ, ოქსფორდის, კემბრიჯის (ინგლისიძ, ციურიხის (შვეიცარიაძ, იერუსალიმისა (ისრაელიძ და სხვა უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან;

ინსტიტუტი თანამშრომლობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ცენტრთან, ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WAOძ, იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPOძ, ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემიასთან (EAACIძ, კლინიკური იმუნოლოგიის საზოგადოების საერთაშორისო ფედერაციასთან (FOCISძ.

1984-1999 წლებში ინსტიტუტში შეიქმნა სრულიად ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება მედიცინაში – იმუნორეაბილიტაცია და საფუძველი ჩაეყარა ახალ სამედიცინო მეცნიერებას – იმუნორეაბილიტოლოგიას.

პირველად შემუშავდა და დაინერგა ძირითადი კომპლექსური იმუნორეაბილიტაციის ეტაპების პრინციპები ალერგიულ, აუტოიმუნურ და მეორადი იმუნოდეფიციტით დაავადებულთათვის. ჩატარდა პიონერული ფუნდამენტური გამოკვლევები ზურგის ტვინის იმუნოკომპეტენტური უჯრედების თვისებების შესწავლაზე და საფუძველი ჩაეყარა ახალ მეცნიერულ მიმართულებას – ნეირომუნოფიზიოლოგიას.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა წყალტუბოს კარსტულ მღვიმეში ალერგიული და რესპირაციული დაავადების მქონე პაციენტთა რეაბილიტაციისათვის.

2006-2010 წლებში შესრულდა ჰაერის აეროდინამიკური მონიტორინგი „Burkard Trap“-ის (ინგლისიძ მეშვეობით, რომელიც ინსტიტუტს გადაეცა ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის (WAOძ მიერ გრანტის სახით.

2009 წელს დაინერგა ალერგიული და აუტოიმუნური დაავადებების თანამედროვე ტექნოლოგიები მესამე თაობის ანალიზატორის „Immuno Cap 100“-ის გამოყენებით.

ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა რევაზ სეფიაშვილმა 1986 წელს დასტამბა ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო იმუნოლოგიაში – „Введение в иммунологию“, ხოლო შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომისადმი მიძღვნილი წიგნი „Спид“, რომელიც 1987 წელს დაისტამბა, საერთოდ პირველი წიგნი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში!

1995-2010 წლებში ინსტიტუტის მონაწილეობით გამოიცემა ჟურნალები – „Jornal of world allergy Organisation“ (რუსული რედაქციაძ, „იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო ჟურნალი“, „ალერგია და იმუნოლოგია“, „ასთმა“.

ჟურნალი „ალერგია და იმუნოლოგია“ საქართველოს უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით შეყვანილია მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე პერიოდული სამეცნიერო გამოცემების ნუსხაში და რეკომენდებულია დისერტაციების ძირითადი შედეგების პუბლიკაციისთვის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ინსტიტუტის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმების მუშაობაში, რომლებიც სხვადასხვა დროს იმართება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

წყალტუბოს ინსტიტუტში საქმიანი ვიზიტით სხვადასხვა დროს ბრძანდებოდნენ მსოფლიში ცნობილი მეცნიერები და მეცნიერების ორგანიზატორები; მათ შორის – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პროფ. ი. ხალტაევი (შვეიცარიაძ, ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი, პროფ. პალმა კარდოსი (პორტუგალიაძ, გამოჩენილი იმუნოლოგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი რემ პეტროვი, იმუნოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივანი პროფ. ტატიანა სლავიანსკაია და სხვ.

ამ დღეებში, წყალტუბოს ინსტიტუტი სხვა მომიჯნავე სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად უმასპინძლებს VI ეროვნულ კონგრესს ალერგიასა და იმუნოლოგიაში, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის, იმუნოლოგთა ასოციაციების მსოფლიო გაერთიანების, იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რომლებმაც განიხილეს ალერგიის, ასთმისა და იმუნოდეფიციტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.

აღსანიშნავია, რომ კონგრესის სამეცნიერო პროგრამას ევროპის საკრედიტო კომიტეტმა 22 კრედიტ-ქულა მიანიჭა, რაც ამ ფორუმის დიდი მნიშვნელობის დასტურია.

**ჯუმბერ ჯიშკარიანი**

## ინფორმაცია

# ფრთხილად! რუსები ახალ საზღვრებს გვიკანონებენ!

**თუ რუსი ოკუპანტების ქმედებებს რეაგირება არ მოჰყვა, ისინი ახლა ე.წ. საზღვრებს დააკანონებენ. ამის შესახებ ექსპერტმა კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძემ შიდა ქართლში ოკუპანტების მიერ საზღვრების გადმოწევის შეფასებისას განაცხადა.**

**– სტრატეგიული თვალსაზრისით რუსები ცდილობენ იმის გაკეთებას, რაც მათთვის მომგებიანია. ბუფერულ ზონებს აკეთებენ იმისთვის, რომ იყოს რაღაც გარკვეული მოცულობის ტერიტორია, რომელზეც არავინ ცხოვრობს და მათ პოზიციებსა და ე.წ. საზღვრებს საფრთხე არ დაემუქრება. აქედან გამომდინარე, ყველანაირად ცდილობენ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლება არ იყოს. ხან ვაშლის ბაღს გაუჩნდება ხანძარი, ხან მოსახლეობას ჩამოაჭრიან სავარგულებს, გლეხს რომ აღარ დაედგომებოდეს, შედეგად კი ბუფერული ზონები იქმნება, – განაცხადა არეშიძემ.**

**ექსპერტი საქართველოს შსს-ის ვებ-გვერდზე რუსების მიერ საზღვრების გადმოწევის განცხადების განსხვავებული ინტერპრეტაციით გავრცელების ფაქტს გამოეხმაურა. „ვიღაც დაფიქრდა ხელისუფლებაში, რომ ამის გამო შეიძლება საზოგადოება შეშფოთებულიყო და ზედმეტად ენერვიულა. საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით მომხდარი რეალურია“.**

**მისივე თქმით, სოფელ ლამისყანასთან საზღვრის გადმოწევით რუსებმა ნიადაგი მოსინჯეს.**

**ამასთან, არეშიძის თქმით, მონიტორების ჯგუფი, რომლიც ამ ტერიტორიებთან დგას, აფიქსირებს არა საზღვრის გადმოწევას, არამედ გარკვეულ ქმედებას რუსების მიერ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ფიქრები

**ჯერ კიდევ დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ ლექსად „ამოიოხრა“ მუხრან მაჭავარიანმა, ეს სტრიქონები ქართულ ენაზე რუსული ენის მძლავრობისა გამო და წინამდებარე წერილის სათაურიც სწორედ ამ „ოხვრის“ პერიფრაზია.**

**თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ მაშინ პოეტის შეძახილის საბაბი, არა ზოგადად ქართული ენის სავალალო მდგომარეობა, კი არა, ზოგიერთი „სვეტსკი-ფრონცკი“ ქართველის მიდრეკილება იყო საზოგადოებაში, უმეტესწილად ყოფით ურთიერთობაში, რუსულ ენაზე ეტლიკინა. ეს მაშინ, გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში, „ელიტურ წრეებში“ ერთობ მოდაში იყო.**

**თორემ სხვა მხრივ სწორედ ეს პერიოდი იყო არა მხოლოდ ქართული პროზა-პოეზიის არნახული, მსოფლიო დონის შედევრებით გამორჩეული, არამედ, ამ დროს განიცადა ზოგადად ქართულმა კულტურამ (მწერლობა, კინო, თეატრი და ა. შ.) ჯერ არნახული, უპრეცედენტო წარმატებები. ერთი შეხედვით, პარადოქსია, რომ ეს ხდებოდა სახელმწიფოებრიობის არმქონე, „დამონებულ, დაჩაგრულ“ საქართველოში.**

# ინგლისურ ენით ქლურტული, ისოცხლე, კარგი რამ არის, მაგრამ ეს უნდა გვახსოვდეს, მშობლიურია მთავარი!

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ XIX საუკუნეში რუსეთის უდიდესი იმპერიის განაპირა მხარეში – საქართველოში, მკვდრეთით აღსდგა და აღორძინდა უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობა სადაც რუსთაველის შემდეგ, თუ არ ჩათვლით დავით გურამიშვილს, პრაქტიკულად ღირებული არაფერი შექმნილა, ჯერ ტატოს გენიამ შემოაჭენა მერანი, რასაც ბუნებრივად მოჰყვნენ კარგი პოეტები და მწერლები, ეროვნული მოღვაწენი და ყველაფერი ამის გვირგვინი, საქართველოს ბულბულად შერაცხული აკაკი, ბუმბერაზი ვაჟა და ტიტანი ილია ჭავჭავაძე, ვინც, სხვა რომ არაფერი, შექმნა ახალი, თანამედროვე სალიტერატურო ენა ქართული, რაც, თავის მხრივ, საფუძველი გახდა დიდი იაკობ გოგებაშვილის გენიალური „დედა ენისა“.

აღარაფერს ვიტყვი XX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლშევიკური საქართველოს ისეთ კორიფეებზე, როგორებიც იყვნენ გალაკტიონი თუ ტიციანი, მიხეილ ჯავახიშვილი თუ კონსტანტინე გამსახურდია და სხვები. საბედნიეროდ, იმდენნი იყვნენ, ყველას ვინ მოითვლის?

თუ არც ის დაგვავიწყნია, რომ XIX საუკუნეშივე დე ფაქტო გაერთიანდა საქართველო, რუსეთის ძალისხმევით დაიბრუნა ირან-თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები, რომლებიც ადმინისტრაციულად ქუთაისის და თბილისის გუბერნიებში შევიდა, და ასევე აღსდგა საუკუნეთა განმავლობაში ბოლომდე ჩაკლული თუ არა, ამერ-იმერი ქართველობის სულიერი, მენტალური ერთიანობის მინავლებული განცდა (რაც ტერიტორიების დაბრუნებაზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მგონიაძ, მაშინ ჩემს მიერ ზემოთ სიტყვების – დამონებულ-დაჩაგრულის – წინწკლებში ჩასმა, აღარ იქნება მკითხველისთვის გაუგებარმიულებელი.

რა ხდება დღეს „დამოუკიდებელ და თავისუფალ“ საქართველოში? რაღა დაგვრჩა ქართველობის განმსაზღვრელი ილიასეული კლასიკური ფორმულიდან – ენა, მამული, სარწმუნოება? მამული – ჩამომცრობილი, სარწმუნოება – შებინებული, მასხრად აგდებული, ენა ქართული, რომელსაც იოანე ზოსიმე ღმერთების ენას უწოდებდა, წარყვნილი და გაუპატიურებული.

იქნებ ვინმემ დამისახელოს ე. წ. თავისუფალ საქართველოში რა შექმნილა ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ კორიფეთა ქმნილებების არა თუ დარი, არამედ მათთან ოდნავ მიახლოებულიც კი ლიტერატურაში, კინემატოგრაფიაში, თეატრში, ზოგადად ხელოვნებაში? – არაფერი!

თუმცა რატომ, გემოვნებაზე ხომ არ დავობენ და, იქნებ ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სიროზაა“ გენიალური ნაწარმოები? ან ის, საააკაშვილი „გამეფებისთანავე“ რომ შეგვპირდა, დავით აღმაშენებელზე მსოფლიო დონის ფილმს გადავიღებო და ამის ნაცვლად ჯერ იმ მეფის ქანდაკება გააპანღურეს და ახლა, დაპირებულის სანაცვლოდ, ენდი გარსიას ფილმს გვთავაზობენ ახალი აღმაშენებლის გმირული მხედართმთავრობის შესახებ?

მგონი, ზედმეტად გავერთე ისტორიულ თუ თანამედროვეობის ექსკურსებში და წერილის სათაურიდან გამომდინარე, მთავარ თემას ავცდი, რაც ის გახლავთ, რომ სააკაშვილის ახალი ხუშტურის გამო საქართველოს სასწრაფო ინგლისურიზაციაა ნაბრძანები.

## ასეთი რამ რუსებსაც არ უქნიათ

**თანაც მაშინაც კი – XIX საუკუნეში, როდესაც საქართველოს რუსიფიკაციის პროექტის განხორციელებას თითქოს ვერაფერი შეუშლიდა ხელს. არადა, ხელიც შეეშალათ და მოეცარათ კიდეც. იქამდეც კი, რომ უკვე საბჭოთა იმპერიაში, სერიოზულად აღარავინ ფიქრობდა ამ უტოპიაზე ზოგიერთი „ცხელი თავის“ გარდა.**

მათი ბოლო მცდელობა გასული საუკუნის 70-იან წლებში იყო, მაგრამ, მოდით, ვაღიაროთ, რომ გინდაც ჩაეწერათ კონსტიტუციაში რუსული ენა სახელმწიფო ენად, ეს მხოლოდ ფორმალობა იქნებოდა, რაც ვერანაირად ვერ გამოიწვევდა ქართველი კაცის გარუსებას.

ამის მიუხედავად, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა საქართველოში, რომ გახმაურებულიყო ინფორმაცია 10 ათასი რუსი პედაგოგის მოვლინების და ქართველი ბავშვების რუსული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ? რა და 1978 წლის 14 აპრილი, მონაგონი იქნებოდა.

ახლა? 10 ათასი ინგლისურის მასწავლებლის დესანტი უნდა გადმოსხან ნაცებმა და ვითომც არაფერი – საზოგადოება დუმს... თავი დავანებოთ იმას, რომ, როგორც ამბოზენ, იმათგან არც ერთი არ ყოფილა პროფესიით პედაგოგი. მშობლიური მაინც ყოფილიყო მათთვის ინგლისური. ანუ ბრიტანელები ან ავსტრალიელები მაინც იყვნენ. არა, სხვადასხვა ეთნოსისანი არიან, თანაც, არც ერთი არ ყოფილა მათ შორის მართლმადიდებელი(???ძ.

არც ის მოარული ხმებია უსაფუძვლო, რომ მათ შორის ბევრი სექტანტიც შეიძლება იყოს და ეს „ყივჩაღები“ ქართულ ოჯახებში უნდა ჩაასახლონ, რათა ინგლისურთან ერთად სხვა, ლიბერასტულ ფასეულობებსაც აზიარონ ჩვენი შვილები და მათი მშობლებიც.

აქამდე ასე მეგონა, რომ უცხო ენის მასწავლებლებმა იმ ენის გარდა, რაც უნდა ასწავლონ, ის ენაც უნდა იცოდეს, რომელ ენაზე მოსაუბრესაც ასწავლის. ანუ, ინგლისურთან ერთად ქართულიც უნდა იცოდეს და როგორ იქნება ეს ამბავი? ჯერ ქართული ენა უნდა ისწავლონ იმ ყოვჩაღებმა, თუ, როგორც გივი ბერიკაშვილი ასწავლის „სამოთხის გვრიტებში“ ასოებს – ნამგლითა და კავით? თუმცა არც ეგ არის გამორიცხული, რომ, როგორც რუსები იტყვიან, „наглядное пособие“ გამოიყენონ. მაგალითად, უჩვენებენ სადმე ჰოლანდიაში გადაღებული გეიპარადის ფოტოს და ჩვენს შვილებს ინგლისურად ასწავლიან – აი, ესენი არიან გეები და ესეც მათი აღლუმიაო.

სერიოზულად კი, სახუმროდ ნაღდად არა გვაქვს საქმე, ეს ყველაფერი იმ კონტექსტშია გასააზრებელი, რასაც საქართველოს ტურიზმის მექად ქცევა ჰქვია – ქართველმა დამლაგებლებმა, მრეცხავებმა, მეძავებმა და, უკეთეს შემთხვევაში, „პოვრებმა“ (აკი დაავალა მიშამ მდგრად ვერიკოს, „კულინარნი ტექნიკუმებს“ მიაწექითოძ ინგლისური უნდა იცოდნენ, რათა „ძელამ ბიძებს“ ხარისხიანი მომსახურება გაუწიონ.

ისიც საინტერესოა, რა ენაზე უნდა ესაუბრონ ჩვენი შვილები კავკასიაში მცხოვრებ სომხებს, აზერბაიჯანლებს, ჩრდილო კავკასიელებს? აღარაფერს ვიტყვი პოსტსაბჭოთა უზარმაზარ სივრცეზე, სადაც ერთაშორისი საურთიერთობო ენა რუსულია და ასე იქნება კიდევ ძალიან დიდხანს, რადგანაც იქ ჯერჯერობით არ შეინიშნება რუსოფობიით ტოტალური მოწამვლა, როგორც ჩვენთან.

რას ვაპირებთ, იგივე აფხაზებს და ოსებს ინგლისურად უნდა ველაპარაკოთ? თუ აღარც ფიქრობენ ნაცები მათთან ურთიერთობაზე? მაშინ ენგურსა და ლიახვზე ჩინეთის კედელი ავაშენოთ, ხოლო ამერიკასა და ევროპის ქვეყნებამდე გვირაბი გავიყვანოთ, რათა ინგლისურის ტოტალურმა სწავლამ უქმად არ ჩაუაროთ ჩვენს შვილებს, თორემ მათი მტერი იყოს თითოოროლა „ძელამი ბიძის“ იმედზე.

მოკლედ, ჩვენო მკითხველო, კითხვა და ვარაუდი, სერიოზულიც ბევრია და სალადაოც. მთავარი კი ის არის, რომ სააკაშვილმა ამას წინათ ბათუმიდან გასცა ბრძანება, და საქართველოს „ყივჩაღიზაციის“ პროგრამა ამოქმედდა – თბილისის 24-ე სკოლაში პირველი კლასიდანვე დაიწყო ინგლისურის სწავლება.

არადა, ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, ეს არის მომავალი თაობის გადაჯიშებისკენ მიმავალი გზა, რადგანაც პედაგოგიკაში ცნობილი ამბავია, რომ უცხო ენების შესწავლა, მხოლოდ გარკვეული ასაკიდან არის მიზანშეწონილი. ამასვე ამბობდნენ ილია თუ იაკობ გოგებაშვილი – ჯერ მშობლიური ქართული უნდა ისწავლოს ბავშვმა, რადგანაც მშობლიური ენის სწავლა პირველ რიგში ნიშნავს ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას, და მხოლოდ ამის შემდეგ, მარტივად წერა-კითხვის ცოდნას.

ვიმეორებ, ამას თვით რუსებიც არ აკეთებდნენ. ჩემს ბავშვობაში მხოლოდ II კლასიდან ისწავლებოდა რუსული ენის ანა-ბანა, რასაც კვირაში 2 გაკვეთილი ან საათი ეთმობოდა. ხოლო ე. წ. უცხო ენას, გერმანულს, ინგლისურს, ან ფრანგულს IV კლასიდან გვასწავლიდნენ, ანუ იმ დროიდან, როდესაც გოგებაშვილის „დედა ენა“ და აქედან ქართველობაც, ძალ-რბილში გვქონდა გამჯდარი.

**ახლა? 6-7 წლის ბავშვისთვის გაძლიერებული, ყოველდღიური ინტენსივობით ინგლისურის თავსმოხვევა არის თუ არა ბავშვის ფსიქიკაზე ძალადობა, გნებავთ უმანკო სულის, უკაცრავად და, გაუპატიურება?**




კიდევ ერთი რამ ბრძანა სააკაშვილმა – ვინც ინგლისურს არ ისწავლის, დიპლომს ვერ აიღებსო.

**ერიჰა, სად, რომელ ქვეყანაშია უცხო ენა სავალდებულო? იქნება არ კი არა, ვერ ვისწავლე ეს ინგლისური და საკუთარ სამშობლოში ქართველისთვის ქართული საკმარისი არ უნდა იყოს?**

მაგრამ არა! როგორც ჩანს, ამ „ყივჩაღიზაციას“ უფრო შორს მიმავალი მიზნები აქვს და სრულიად ვეთანხმები ბუბაზ სანიკიძეს – **ამათ უნდათ, რომ ინგლისური საქართველოს სახელმწიფო ენად გამოაცხადონ!** ვერ ეღირსებიან, არ გამოვა ეს, რადგანაც...

„დამარხული არს ენაი ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისიისა საწამებლად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

**აი, ასე დიდებულად ბრძანა იოანე ზოსიმემ X საუკუნეში. მას შემდეგ კიდევ ათი საუკუნე გავიდა, რაც ენა ქართული, ავად თუ კარგად, შეუმუსვრელ ბასტიონად დგას და კიდევ დიდხანს იდგება, ვიდრე სამყაროს დასასრულამდე, რადგანაც ღმერთების ენას ვერავინ მოკლავს, მით უმეტეს ეს შლეგი ხელისუფლება!**

**დავით მხეიძე**

მემკვიდრეობა

## იაკობ გოგებაშვილი... სდასუში სწავლობს



**ის 18 წლისაა და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე წლეულს ჩაირიცხა.**

**სენაკელი გოგებაშვილია, სოფელ ნოსირიდან. იქ, თურმე, ამ გვარის ხუთი ოჯახი ცხოვრობს, ორიც – მენჯში. ფოთშიც სახლობენ.**

**მის წინაპრებს თავადთან უთანხმოება მოსვლიათ და ვარიანიდან დასავლეთ საქართველოში გადასახლებულან.**

**ეს ბაბუისგან იცის.**

**ბაბუას გიორგი ჰქვია, პირველ შვილიშვილს კი მაინც იაკობი დაარქვა.**

* * *

**– როგორ ფიქრობ, იაკობი რატომ დაგარქვეს?**

**– ამის გამოცნობა ადვილია.**

**– ძნელი, ალბათ, ის არის, რასაც ეს სახელი და გვარი გავალებს...**

**– დიახ.**

**– ამას ხშირად შეგახსენებენ?**

**– საკმაოდ...**

**– შენი აზრით, რას ნიშნავს იაკობ გოგებაშვილი საქართველოსთვის?**

**– „დედაენას“ და კიდევ ბევრ რამეს.**

**– უნივერსიტეტში როგორ შეგხვდნენ, ასეთი სახელითა და გვარით რომ გამოეცხადე?**

**– თანაჯგუფელები ჩვეულებრივად შემხვდნენ, აი, კონსტიტუციური სამართლის ლექტორს, პროფესორ დავით ხობელიას ჰქონდა საინტერესო რეაქცია.**

**– მაინც, რა თქვა ასეთი?**

**– შინ რომ მივალ, შვილებს როგორ ვუთხრა, იაკობ გოგებაშვილს ვასწავლიო.**

**– სდასუ რატომ აირჩიე?**

**– მაღალი რეიტინგის გამო. ამ უნივერსიტეტს ძალიან კარგი სახელი აქვს არა მხოლოდ საქართველოში, მთელს ევროპაში. უკვე ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილად დამსახურებულია.**

**– სამართალმცოდნეობა?**

**– მინდა, სამართალს და სიმართლეს ვემსახურო.**

* * *

**რა თქმა უნდა, ის ხომ იაკობ გოგებაშვილია...**

**იოსებ ჭუმბურიძე**

# წუთისოფლის მარადიული მგზავრი

**დღეს ოთარ ჭილაძის დიდი ნიჭიერების თაყვანისმცემლები პირველად შეიკრიბებიან მთაწმინდაზე ამ „უკვდავების ბინადრის“ გარდაცვალების პირველ წლისთავზე.**

**ამ დღესვე მიუთანადა გამომცემლობა „ინტელექტმა“ (კახმევ კუდავა) ოთარ ჭილაძის ერთ დიდებულ წიგნად აკინძული სხვადასხვა დროის ჩანაწერები, რომლის რედაქტორ-შემდგენელია მწერლის ძმა, ჩვენი დიდებული მწერალი თამაზ ჭილაძე.**

**დღეს ჩვენს მკითხველს ჭაშნიკად ვთავაზობთ ბატონ თამაზის მიერ საგანგებოდ ამ წიგნისთვის დაწერილი შესავალი წერილის („ბედნიერება უნდა მოითმინო“) ფრაგმენტებს და თვითონ ოთარ ჭილაძის სხვადასხვა დროის (1955-2009 წლები) ჩანაწერების ერთ მცირე ნაწილს.**

**წიგნის ერთ-ერთი პირველი ეგზემპლარი პირდაპირ სტამბიდან მოაწოდა რედაქციას „ინტელექტის“ თანამშრომელმა, თვითონ ბატონ ოთარის უმცროსმა მეგობარმა, დღეს უკვე ცნობილმა ახალგაზრდა მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ.**



2009 წელი

## „ბედნიერება უნდა მოითმინო“

*ეს არის ოთარ ჭილაძის რვეულებიდან ამოკრეფილი ჩანაწერები და წარმოადგენს ძალზე მცირე ნაწილს იმ ზღვა მასალისა, რომელიც უამრავსა და უამრავ რვეულშია გაბნეული. ბევრი რამ ვერ ამოვიწერე, მწერლის თანდათანობით გაუარესებული კალიგრაფიის გამო, ბევრი რამ კი გარკვეული მიზეზით არ იბეჭდება, დარწმუნებული ვარ, თვითონაც არ ისურვებდა ზოგიერთი ჩანაწერის გამოქვეყნებას.*

*ამ წიგნით მკითხველი ეცნობა სამყაროს, რომელსაც ოთარ ჭილაძე მთელი ცხოვრების მანძილზე სიმარტოვეში, ანუ საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ქმნიდა და რაც, რასაკვირველია, არც უცხო თვალისთვის იყო განკუთვნილი, არც უცხო ყურისთვის — მწერალი თითქოს ვიზუალურად ამოწმებდა თავისივე ნაფიქრალს, უეცრად გაელვებულ აზრს, თუ წიგნითა თუ ცხოვრებისეული მოვლენით აღძრულ შთაბეჭდილებას (რატომღაც ჭექა-ქუხილის დროს გადაღებული ელვის ფოტო-სურათები მახსენდება), რომელთა, მართლაც რომ, ელვისებურად გაქრობის ტენდენციას ანბანის სასწაულმოქმედი ძალის რწმენით უპირისპირდებოდა და აღწევდა კიდეც მიზანს.*

*ეს წიგნი ოთარ ჭილაძის კიდევ ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რამდენადაც უაღრესად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მისი პირადი ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს, ამასთანავე თითქოს მისი შემოქმედების ერთგვარი ამალგამაცაა, მისი სრულყოფილების შემჩნევასა და აღქმას რომ უწყობს ხელს. ამ წიგნის კითხვის დროს, ცხადი ხდება, თუ რა უსაზღვრო იყო სივრცე, რომელშიაც ის ოცნებით, ფიქრით ცხოვრობდა, უსაზღვრო იყო მისი ინტერესების სფეროც, რომელიც საბოლოოდ მაინც ერთ ფოკუსში იყრიდა თავს — ეს გახლდათ მისი სამშობლო — საქართველო!*

*ამ წიგნში, როგორც ნიჟარაში, მისი ხმაა თითქოს ჩარჩენილი, რომელიც აკომპანიმენტად არის თითქოს ქცეული გულახდილობის იშვიათი წუთებისა. მისი ხმა, მართლაც რომ, განსაკუთრებით აღსანიშნავი რამ გახლავთ. როცა საკუთარ ნაწერს კითხულობდა, თითქოს რომელიღაც საიდუმლო ეზოთერიულ რიტუალს ასრულებდა — ხმა თითქოს სხვათა, იდუმალ სამყაროში იყო ჩასახული, როგორც პურის მარცვალი — ხნული და აღმოცენებული, როგორც ლოცვა.*

*ამ წიგნმა ყველაზე უმალ, შეიძლება, დღიური გაგვახსენოს, მაგრამ დღიური ნამდვილი არ არის, ალბათ ეს უფრო მისი წამიერი ფიქრის კაკანათია, ვიდრე დღიური.*

*„ბედნიერება უნდა მოითმინო“-ო, ჩაუწერია ერთ რვეულში, ანუ უნდა მოითმინო როგორც ტკივილი, შიმშილი, მარტოობა. ამგვარ ბედნიერებას სულ სხვა სიხარული მოაქვს — შეიძლება არყოფნაზე გამარჯვებადაც კი წარმოვიდგინოთ.*

*მისი სიკვდილის დღეს, ერთ-ერთ უცხო საიტზე ასეთი ფრაზა გაჩნდა: „ის ცხოვრობდა ჩუმად და ღირსეულად“, რაც თამამად შეიძლებოდა მისი ამ წიგნის ეპიგრაფად ქცეულიყო, რამდენადაც უაღრესად ლაკონიურად და უაღრესად ზუსტად გამოხატავდა მისი ამქვეყნიური ცხოვრების ხასიათს და, ამასთანავე, ასევე ზუსტად მიგვანიშნებდა მისი ცხოვრების განსაკუთრებულ შინაარსსა და მნიშვნელობაზე.*

**თამაზ ჭილაძე**

# ოთარ ჭილაძე
# ცა მიწიდან იწყება

## სხვადასხვა დროის ჩანაწერები

**1955**

მე ვგავარ ბავშვს, საშაქარლამოს ვიტრინას რომ აჰკვრია სახით.

**1956**

ბრმა იყო, მაგრამ მხოლოდ თვალებით.

**1959**

მხოლოდ სიკვდილის წინ შეიძლება, რომ ერთი სიტყვით თქვა ყველაფერი. ჩვენ სიკვდილამდე ამ სიტყვას ვეძებთ.

* * *

როგორ შეიძლება პოეზია მოკვდეს. პოეზია იცოცხლებს, სანამ ადამიანი იქნება.

* * *

ელუარმა პირველი მსოფლიო ომის წინ გამოაქვეყნა პირველი ლექსები და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღიარეს, როგორც პოეტი.

* * *




როდესაც კონიაკს ვსვამ, ჩემი სხეული ივსება მზით და ჩემი ტვინი მოგზაურობს არარსებულ ქვეყანაში.

გაუმარჯოს კონიაკს!

რა თქმა უნდა, ქალების შემდეგ.

**1961**



ომის დროს ხშირად დავდიოდით ზოოპარკში მაშინ, რატომღაც, თბილისი სავსე იყო მეზღვაურებით. მეზღვაურები ირეოდნენ ყველგან: ქუჩებში, ბაზრებში, ტრამვაის ვაგონებში... ზოოპარკშიც. ერთხელ ლომის გალიის წინ ვიდექით. ლომი იწვა სფინქსივით გარინდული. ფეხში დაჭრილი მეზღვაური ყავარჯნით აწვალებდა ლომს. ლომი იწვა ამაყი და ლამაზი. ვერც ხედავდა, ვერც გრძნობდა თითქოს.

**1965**

ენა განსაზღვრავს, თუ რომელი ლიტერატურის, რომელი კულტურის სფეროს მიეკუთვნება მწერალი. ენა და არა, ვთქვათ თემა, ნაწარმოებში ასახული გარემო, თუ გმირთა ეროვნება. ჰემინგუეი სულ ესპანეთზე წერს, მაგრამ რომელ ესპანელს მოუვა თავში აზრად, ამერიკელ მწერლად არ ჩათვალოს იგი.

* * *

სიტყვის დასანახად ხალხი მაღლა უნდა აახედო.

**1966**

მოხუცები ყოველთვის წარსულს მისტირიან, ახალგაზრდები კი აწმყოთი უკმაყოფილოები არიან.

**1967**

მე მცივა მარტო, თუ მართლა ასე ცივა საერთოდ.

ამ ცეცხლმაც სულმთლად დაკარგა ძალა.
თუმცა ფეხშეკრულ მამალივით
მაინც ფართხალებს.

* * *

ჩვენ ისე პატარები ვართ, ღმერთს მიკროსკოპითაც გაუჭირდება ჩვენი დანახვა, ამიტომ ვავიწყდებით ასე ხშირად.

**1968**

ხალხი ბოროტებას ეგუება და ებრძვის კიდეც, ორივე შემთხვევაში სწორად იქცევა.

* * *

მთვარესაც მოვბეზრდით – ყოველ ღამე აღარ ამოდის.

* * *

(ფრანსუა ვიიონიდან)
„მე ფრანსუა ვარ! ღმერთო, მიხსენი,
სიკვდილი მოდის ჰარი-ჰარალით
და მალე იგრძნობს ჩემი კისერი,
თუ რას იწონის ეს უკანალი“.

* * *

მწერალი ისე ცხოვრობს თავის ენაში, როგორც თევზი – მდინარეში. ამიტომ, მისი მოსპობა თუ გინდათ, მდინარეში დინამიტი უნდა ჩაუდოთ, თანაც რამდენიმე.

* * *

რაც ოლიმპოდან არ ჩანს, ის შეიძლება პარნასიდან დაინახო.

* * *



მე რომ ნება მომცენ, ასე წავაწერდი სამასი არაგველის ძეგლს: ომი წაგებული იყო, მაგრამ მონობას სიკვდილი ვარჩიეთ.

* * *

მთელი ღამე თეთრად გავათენე. ეს კარგი ნიშანია, ესე იგი ფორმაში შევდივარ.

**1969**

პარიზიდან დასთან სტუმრად ჩამოვიდა ქართველი ემიგრანტი. 30-32 წლის იქნება, ქართულად ცუდად ლაპარაკობს, მაგრამ ძალიან მონდომებულია. ხუმრობით ვკითხე, პარიზის მერე როგორ მოგწონთ თბილისი-მეთქი და ეს სულ სხვააო, სწორედ ასეთი მინდოდაო... რამდენი სევდა და სიამაყეა ამ სიტყვებში. ქართულ წიგნებს აგროვებს, უნდა ვთარგმნოო. აქამდე რას აკეთებდა ჩვენი ემიგრაცია. ეტყობა ქართველი ყველგან ქართველია. საცოდაობაა სამშობლოს მოწყვეტილი სხვა ქვეყნის ქურაში მოხარშული კაცი, მით უფრო, თუ სამშობლოს ხსოვნა და სიყვარული მთლიანად არ გაქრობია. „დედაენა“ მაინც გამოსცენ, ერთი

# წუთისოფლის მარადიული მგზავრი

სკოლა მაინც გახსნან, თურქეთის საქართველოს მიხედონ! უბრალოდ, შეიძლება გულზე გასკდეს კაცი. სევდა და წუწუნი საქმეს არ შველის. ძალას მხოლოდ ძალა უნდა დაუპირისპირო.

**1977**



ჩვენი უბედურება ისაა, რომ ევროპელებისათვის აზიელები ვართ, ხოლო აზიელებისთვის ევროპელები. სინამდვილეში რა ვართ, ეშმაკმა იცის.

* * *

ბედნიერი რომ იყო,
სულელიც უნდა იყო აუცილებლად.

* * *

როცა მწერალი „საზიზღრობას" ქმნის, „მშვენიერების" არსებობას ახსენებს მკითხველს...

* * *

მე კი არ ვთარგმნი, დაკარგულს ვეძებ მეორე ენის ბნელ ტალანებში.

* * *

ადამიანს არ შეუძლია არაფრის დამორჩილება, დაპყრობა, გარდა საკუთარი თავისა.

* * *

თუ ღმერთი არ არის, მაშინ ადამიანი მატლია.

* * *

პოეტები გიჟები არიანო, ამბობენ ხალხში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, გიჟებიც პოეტებად ჩავთვალოთ.

* * *

ვისაც ებრძვი, იმას ემსგავსები.

* * *

ბრძენს გული მარჯვნივა აქვს.

**1978**

სინათლე მიდის და მოდის, წყვდიადი კი მარადიულია, ფეხმოუცვლელად დგას.

* * *



ქართული სუფრა აკადემიააო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, აკადემიაც ქართულ სუფრად ვაქციოთ.

**1981**

რაც მარტო შენ იცი, დამარხული განძია. გაზიარებული ცოდნა – მოძრაობაა!

**(ძილში მოსული აზრი)**

**1982**

დღეს ბავშვი გადავარჩინე ზღვაში დახრჩობას. ბედნიერი ვარ!

**7 სექტემბერი ბიჭვინთა.**

**1983**

სახელმწიფოს სიმტკიცეს ქვეშევრდომთა სიბრიყვე უდევს საფუძვლად.

**1984**

ზოგი ჟურნალია, შეიტან გადასახედად ტუალეტში და აღარ გამოიტან, იქ დატოვებ.

* * *

ბედნიერება უნდა მოითმინო.

**1986**

მოხდა წარმოუდგენელი რამ – ქართველმა მწერლებმა ყრილობა მიატოვეს! უფრო სწორად, რაკი სხვა არაფერი შეეძლოთ, ადგნენ და გაეცალნენ მაგინებელს, რომელიც, საბოლოო ჯამში, მთელი ყრილობის სულისკვეთების გამომხატველი აღმოჩნდა. „ბაზარშია თქვენი ადგილიო" – მოგვძახოდნენ გაცეცხლებული, გაკაპასებული თანამოკალმენი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი უაღრესად ბუნებრივი, დაუდგენელი გამბედაობით გაღიზიანებულნი. ერთმა ლიტველმა მწერალმა სძლია რა შიშს და ხელის ჩამოსართმევად მოვიდა ჩვენთან, შერისხულებთან, განწირულებთან, მღელვარე აღფრთოვანებით გვითხრა: კრემლის თაღებს არ უნახავთ მსგავსი რამო. დიახაც! ეს იყო ალბათ მთელს იმპერიაში პირველი აშკარა პროტესტი, უკიდურესობამდე მისული უმწეობის გამომხატველი! პირადად მე, არ მეგონა, მშვიდობიანად თუ გამოვიდოდით იმ დღეს კრემლიდან. სამაგიეროდ, ღრმად ვიყავი დარწმუნებული (თუკი გადავრჩებოდით), აეროპორტში მთელი საქართველო დაგვხვდებოდა, თუნდაც, როგორც რომელიმე საზღვარგარეთულ ტურნეში გამარჯვებულ საფეხბურთო გუნდს. მაგრამ (საბედნიეროდ) არც პირველი ვარიანტი გამართლდა და (სამწუხაროდ) არც მეორე, რადგან რაც მოხდა თავისთავად, გაუთვალისწინებლად მოხდა და ეს არ განეკუთვნებოდა იმ „სითამამეთა" რიცხვს, რომლებსაც საბჭოელის ფსიქიკა უნდა შეერყიათ, თანდათანობით, ნება-ნება გამოეყვანათ ის მარადიული მორჩილების, ნებაყოფლობითი სიბრმავისა და სიცრუის ბუნაგიდან.

* * *

ვაზის მოვლა ესთეტიკურად განვითარებულ ადამიანს ზრდის.

* * *

ძეგლს საერთო-სახალხო კულტურა იცავს, რომელიც გვახსენებს, თუ რა არის ძეგლი.

**1988**

თუ მართლა შეგტკივა ჩემზე გული, ნუკი მომატყუებ – ბედნიერი ხარო – გამარკვიე, რატომ ვარ უბედური.

* * *

არასასიამოვნო მოსასმენია, როგორ ამხელს ძველ რეჟიმს დღეს, მაგალითად აკადემიკოსი ლიხაჩოვი – „გარდაქმნა" რომ ცოტა გვიან დაწყებულიყო, ხომ არ მიეცემოდა საკუთარი „სიმამაცის" გამომჟღავნების საშუალება?

მე მგონი, ვინც მაშინ ჩუმად იყო, ახლაც უნდა გაჩუმდეს, იმიტომ კი არა, უფლება რომ დაკარგა ლაპარაკისა, იმიტომ რომ ახლა ლაპარაკს არა აქვს აზრი.

* * *

ჩვენი და სომხების ურთიერთობა, სამწუხაროდ, ყოველთვის როდია ისეთი, როგორიც უნდა იყოს ჩვენი საერთო წარსულიდან, საერთო გამოცდილებიდან გამომდინარე. ბევრი რამე ხდება, რისი ახსნაც უბრალოდ შეუძლებელია. მარტო ის ფაქტი რად ღირს (რასაკვირველია, თუკი მართლა ასეა! პირადად მე მაინც მიჭირს დაჯერება), თავიანთ ბავშვებს გაყალბებულ ისტორიასა და გეოგრაფიას რომ ასწავლიან თურმე – თითქოს საქართველო (თანაც მისი უდიდესი ნაწილი), ოდესღაც სომხური ტერიტორია ყოფილიყოს, ჩვენგან უსინდისოდ მითვისებული. გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო – ტყუილად კი არ არის ნათქვამი. მაგრამ ასე ხელოვნურად შექმნილ პრობლემებს, ასეთ „მეზობლურ კინკლაობებს", შეიძლება, მომავალში დიდი უბედურება მოჰყვეს. როგორ შეიძლება, ამ შეგონებით აღზრდილი სომეხი კეთილად იყოს განწყობილი საქართველოსადმი. პირიქით, უსაფუძვლო ბოღმითა და დაუმსახურებელი სიძულვილით იქნება ყოველთვის გულგავსებული და იმას ეცდება მხოლოდ, როგორმე დაიბრუნოს ჩვენგან „მიტაცებული" მიწები. ასე რომ, ან სომხები უნდა მოეგონ დროზე გონს, ანდა ჩვენც იმავე მეთოდებით უნდა ვიმეზობლოთ მათთან, თორემ, საწინააღმდეგო შემთხვევაში, მართლა მიმტაცებლად თუ არა, ბრიყვებად ნამდვილად გამოვჩნდებით სხვათა თვალში.



**1989**

როცა სიცოცხლეს მიზანი არა აქვს, ნუ დავუწყებთ ძებნას სიკვდილის მიზეზს!

* * *

ვინც ბევრს ლაპარაკობს, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ბევრი იცის!

* * *

თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს შენს ნებაზე ცხოვრებას – პირიქით, თავისუფალ კაცს მეტი თავშეკავება მოეთხოვება, ვიდრე მონას – ძალიან არ მინდა, რომ მონა ვიყო.

**1990**

თანამედროვე მუქარა: აგიფიცრავ კარს, შე სუკის აგენტო, შენა. საკუთარ სახლში არ შეგიშვებ!

* * *

სხვა ენაზე ლაპარაკი კი არ არის უბედურება, არამედ – შენი ენა რომ არ იცი!



სიტყვის დიდოსტატი ძმები – ოთარ ჭილაძე და თამაზ ჭილაძე.

* * *

ტყის სიმეჩხერე ციდან უკეთესად მოჩანს!

**1993**

პოლიტიკოსი მომენტის, სიტუაციის თავადია, მწერალი კი – მარადისობის მსახური.

**1994**

ხვალ შობაა – ინდაურის ყიდვა მაქვს დაქადნებული, არა და ფული არ არის! მაგრამ მაინც უნდა მოვახერხო რაღაცა – ინდაურის გულისათვის არ ღირს შვილიშვილების თვალში დამცირება!

**1995**

ნელ-ნელა ვეჩვევით იმ აზრს, რომ ქართველი ერი საქართველოშიც კი არ არის საჭირო; რომ ქართველის სმენა „ბიგ-ბენის" ხმას უკეთ აღიქვამს, ვიდრე, ვთქვათ, სიონის ზარისას...

**1996**

რა შემიძლია ვთქვა თურქეთზე? უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, არ უნდა წამოვსულიყავი ავადმყოფი... ამავე დროს, ეს ალბათ ერთადერთი შესაძლებლობა იყო, საერთოდ, თურქეთის ნახვისა. ხომ უნდა მცოდნოდა, ბოლოს და ბოლოს, ვინ დამანგრია და დამასახიჩრა სამუდამოდ?! მიუხედავად, ევროპისკენ (...) ლტოლვისა (მიმბაძველობისა), უფრო აზიური (ჩემი გაგებით) ქვეყანა, მაინც ძნელი წარმოსადგენია. საბრალოო საქართველო აქაურებთან შედარებით – საფრანგეთია.

**1997**

შენ ხარ ცის თაგვი და მიწის ჩიტი. რა იგავებით მელაპარაკები?! – უფრო ნათლად მითხარი, თუ რამე გაქვს სათქმელი. ამაზე ნათლად როგორღა გითხრა?! ცისთვის თაგვი და მიწისთვის ჩიტი ღამურაა, ღამურა კი გადაგვარებული კაცის სიმბოლოა ქართულ პოეზიაში. აკაკიც არ გაგიგია?! სად გაიზარდე?!



**1998**

ამოკვეცილ საბნიდან ფეხის წვერს რომ გამოყოფ, ჩათვალე, რომ ზამთარი დამთავრდა.

* * *

ახალგაზრდობაში კაცი ქალს თავს აწონებს, სიბერეში კი – აცოდებს. არც ერთისა რცხვენია, არც მეორისა!

**1999**

მწერლური შრომა, რასაკვირველია, ტანჯვაა, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, ნეტარების მომნიჭებელიცაა. ნეტარი ტანჯვა!

* * *

იქნებ ეს არ არის სიცოცხლე და იქნებ სიცოცხლე ის არის, რაც სივდილის მერე უნდა დაიწყოს?!

**2000**

რაც დღეს საქართველოში ხდება, გაჭირვების ბრალი კი არ არის (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს გარედან), არამედ წინასწარი განზრახვის შედეგია... იძულებულნი კი არ არიან ვთქვათ, ქუჩაში დატოვონ მწერალი, მსახიობი, მეცნიერი... არამედ, ასე სურთ!

აი, ამის ამოხსნაა მთავარი (თუ უკვე ამოხსნილი არ არის!), ვის სურს და რატომ?!

დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

**2003**

რევოლუციას ბავშვები იწყებენ, ხოლო რევოლუციის მონაპოვარს უფროსები იმკიან...

* * *

პოლიტიკაში არ ვერევი-მეთქი, სწორი არ იქნება, უბრალოდ, სხვადასხვანაირად გვესმის პოლიტიკა მე და პოლიტიკოსებს...

**2004**

1 იანვარი. 12 საათი და 25 წუთი. ჯერ კიდევ ისვრიან. პირველად ხვდება ქუჩაში თბილისის მოსახლეობა ახალ წელს. „რუსთავი-2"-ის ერთ-ერთმა ტურა დიქტორმა თქვა, ახალ ტრადიციას ვამკვიდრებთო, ე. ი. ძველს ვანგრევთო, საკუთარ ოჯახებში ვეღარ შეხვდებით ახალ წელსო. დაახლოებით ასე გამოვიდა. ასედაც არის, ალბათ. თანდათანობით უკეთ გამოიკვეთება არა მარტო კონსტრუქცია, არამედ არსიც „ჩანაფიქრისა".

* * *

უწიგნურობას განუკითხაობა მოსდევს.

**2006**

როგორი ნიჭიერიც არ უნდა იყოს მწერალი, ვერასოდეს შექმნის მეტნაკლებად მნიშვნელოვან ნაწარმოებს, თუკი მიზნად ადამიანის მხილებას ისახავს და არა გამართლებას, დასჯას და არა დაცვას...



**2009**

დღევანდელობა მაიძულებს, ეჭვის თვალით შევხედო წარსულსაც. ჩვენ უცნაური ხალხი ვართ – სინამდვილეს ლეგენდა გვირჩევნია. ჩვენი პირადი სიმპატიები გვყოფნის, ჩვენგან აჩემებული პიროვნება გავაღმერთოთ. პირადად მე, საქართველოს ეროვნული გმირი მაზნიაშვილი მგონია... მაზნიაშვილის გმირობამ საქართველოს გადაურჩინა სოჭის ოლქი (დროებით) და ბათუმი...

***წიგნში გამოყენებულია ოთარ ჭილაძის ნახატები, რომელთაც აქ გთავაზობთ.***

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# დონალდ ტრამპმა თავისი მზერა საქართველოს უძრავი ქონების ბაზარს მიაპყრო

**ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკელ სამშენებლო მაგნატს დონალდ ტრამპს განზრახული აქვს დაიწყოს მშენებლობა თბილისში, საქართველოს ბევრ მცხოვრებს ჩაუნერგა იმედი, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების პრობლემები უკვე წარსულს ჩაბარდა**

22 სექტემბერს ტრამპმა ხელი მოაწერა ოქმს საქართველოს მრავალეროვნული კომპანიის „სიქ როუდ გრუპის“ განზრახვის შესახებ თბილისში საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

სატელეფონო ინტერვიუში ტრამპის მრჩეველმა მაიკლ კოენმა უარი განაცხადა გვაცნობოს ინვესტიციის თანხა, დაფინანსების ხასიათი და დასაპროექტებელი მშენებლობის მოცულობა. მაგრამ მან „პირადად მიულოცა“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და კომპანიას ის, რომ მათ არჩევანი გააკეთეს ტრამპზე, როგორც საქმიან პარტნიორზე. „თუ მაიკლ ჯექსონი – ეს პოპ-მუსიკის მეფეა, დონალდ ტრამპი – ეს არის მეფე უძრავი ქონების სამყაროში“, – თქვა მაიკლ კოენმა, რომელიც არის „ტრამპ ორგენიზეიშენის“ ვიცე-პრეზიდენტი.



ერთი შეხედვით თბილისი – ქალაქი 1,1 მილიონი მოსახლეობით – შეიძლება მოულოდნელი არჩევანი აღმოჩნდეს „უძრავი ქონების“ მეფისათვის, ნიუ-იორკთან და ლას-ვეგასთან შედარებით. ბუმი, რომელიც შეინიშნებოდა ქალაქში უკანასკნელ პერიოდში უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, თანდათან დაცხრა, საქართველოში კი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც წელიწადში 4400 დოლარს შეადგენს – ყველაზე დაბალია ამიერკავკასიის ქვეყნებში – ძალიან ჩამორჩება დონალდ ტრამპის ტიპური კლიენტების შემოსავლებს.

მაგრამ კოენი ამტკიცებს, რომ „საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში, არის ხალხი, რომელიც მიიჩნევს, რომ სტატუსს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს.

სააკაშვილი ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ამ გარიგებისთვის მიეღწია. მოსამზადებელ ეტაპზე იგი ორჯერ იყო მის შტაბბინაში ნიუ იორკში. პრეზიდენტის საქციელი ადვილი გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელ მოვლენებს საქართველოში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სერიოზულად შემცირდა. 2009 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა თითქმის 58 პროცენტით, მიმდინარე წელს კი საერთო უცხოური ინვესტიციების მოცულობა – 272 მილიონი დოლარი – შარშანდელზე 6 პროცენტით დაბალია.

საქართველოს ხელისუფლება დიდ კმაყოფილებას განიცდის ტრამპთან გარიგების გამო, იგი აპირებს განავითაროს თავისი ინიციატივა ინვესტიციების სტიმულირებასთან განვითარებასთან დაკავშირებით ტურისტულ სექტორში, კერძოდ, მთავრობა მშენებლებს სთავაზობს 27 უბანს 11,7 ჰექტარის ოდენობით. შავი ზღვის სანაპიროზე ერთი დოლარის ფასად ნაკვეთზე. ამ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც კურირებას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ინვესტორებს, რომლებსაც სურთ დააბანდონ 2 მილიონი ლარი სასტუმროების მშენებლობაში ზღვის სანაპიროზე, შეიძლება ჰქონდეთ შეღავათების მთელი კომპლექსი, მათ შორის უფასო კომუნალური მომსახურება და მოგების გადასახარებისგან განთავისუფლება 15 წლის განმავლობაში.

რომ მიიღონ ამგვარი გათავისუფლება გადასახადებისგან, სასტუმროების მშენებლობა, რომლებიც 7 სართულზე მაღალი არ უნდა იყოს, უნდა დამთავრდეს 2011 წლის 1 აგვისტოსთვის.

როდესაც ამ პროგრამის შესახებ აცხადებდა 11 სექტემბერს, პრეზიდენტი სააკაშვილი დაჰპირდა ინვესტორებს, რომ ექნებათ შესაძლებლობა „გააორმაგონ და გაასამმაგონ თავიანთი სახსრები“.

საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის ირაკლი მატკავას სიტყვებით, მთავრობის გეგმებმა დიდი ხმაური გამოიწვია. მისი უწყების მისამართით უკვე შემოვიდა 10 განცხადება: 9 ქართველი ინვესტორებიდან და 1 სომეხი ინვესტორიდან ერევნიდან.

**მოლი კორსო**

EURASIANET

## დედამიწის ზურგზე



**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და კორეის უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში პირველი სამხედრო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა**

დავის საგანი გახდა სეულის მოთხოვნა ფხენიანისადმი – ბოდიში მოიხადოს სამხრეთ კორეის კორვეტ „ჩხონანის“ ჩაძირვის გამო, რომლის ბორტზეც 46 სამხედრო მეზღვაური დაიღუპა. კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კატეგორიულად უარყო თავისი მონაწილეობა ამ ინციდენტთან დაკავშირებით და ყველაფერს სეულისა და ვაშინგტონის პროვოკაცია“ უწოდა.

* * *

**ტროპიკულმა შტორმმა „ნიკოლმა“ იამაიკას გადაუარა: დაიღუპა 2, უგზოუკვლოდ დაიკარგა 12 კაცი**

დაღუპულთა შორის არის 14 წლის მოზარდი. მისი ოჯახის სხვა წევრები, მათ შორის 4 და ჯერჯერობით ვერ მოუნახავთ. ძლიერი ქარისა და წყლის ნაკადების გამო ხელისუფლება ურჩევს მცხოვრებლებს დარჩნენ სახლში. შტორმმა კუბამდე მიაღწია. თუმცა დიდი ნგრევებისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია იქიდან არ შემოსულა.

* * *



**დიდ ბრიტანეთში დააპატიმრეს 20 იმიგრანტი-ხაკერი ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებიდან**

მათ შორის რუსეთელები არ არიან. დაკავებულები აღმოჩნდნენ უკრაინიდან, ლატვიიდან, საქართველოდან, ბელარუსიდან და ესტონეთიდან. მათი ასაკია 23-დან 34 წლამდე. მათზე ეჭვი აქვთ ყალთაბანდობაში, რისი შედეგიც გახდა მილიონი გირვანქა სტერლინგის ქურდობა მეანაბრეთა ანგარიშებიდან ბანკებში.

* * *

**გრუნტის ახალი ზვავი მექსიკაში: დაიღუპა 12 კაცი**

უბედურება მოხდა მუნიციპალიტეტ ამატლანის ტერიტორიაზე, სადაც მიწისა და ქვების გრუნტები ჩამოცურდა დასახლებაზე მთის ძირას. კვირის დასაწყისში ზვავი მოხდა მექსიკის შტატ ოაჰაკში. ხელისუფლებამ გამოაცხადა ადამიანთა სერიოზული მსხვერპლის შესახებ, თუმცა შემდეგ აღიარეს, რომ დაღუპულთა სხეულები ჯერჯერობით ნაპოვნი არაა.



# სამხრეთ ოსეთმა საქართველოსთან საზღვრის ცალმხრივი დემარკაცია დაიწყო

**როგორც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა გვაცნობა, ოთხშაბათს დაიწყო საქართველოსთან რესპუბლიკის საზღვრის დემარკაციის სამუშაოები – საზღვრები მოჰყავთ საბჭოთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრების შესაბამისობაში. საქართველოში დემარკაციის სამუშაოებს „რუსეთის ოკუპაციის საზღვრების გაფართოება“ უწოდეს**

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გვაცნობა, რომ ცხინვალმა ცალმხრივი წესით დაიწყო საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვრის დემარკაცია. მან მიუთითა, „საქართველოს მიწა ჩვენ არ გვჭირდება, მაგრამ ჩვენსასაც არავის მივცემთ“.

თავის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოასწრო რუსეთისთვის ბრალის დადება „ოკუპაციის ზონის გაფართოებაში“. მაგალითად, უწყებაში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები მთლიანად არა მხოლოდ გამოაცხადეს ოკუპირებულად, არამედ ბრალი დასდეს რუსეთს იმაში, რომ ახალი ხაზი გადის უფრო შორს, ვიდრე იგი იყო გათვალისწინებული სამხრეთ ოსეთის საზღვრებით საბჭოთა პერიოდში.

თბილისში გვაცნობეს, რომ „უკანონო სადემარკაციო სამუშაოები“ დაიწყო სოფლებში ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, დიცი, არბო და კორდი. უწყებაში დააზუსტეს, რომ სოფელ ქვემო ნიქოზში უკვე მიიტაცეს 25 ჰექტარი სასოფლო- სამეურნეო მიწა, არბოში – 5 ჰექტარი, კორდში – ნახევარი ჰექტარი, სოფელ დიცში კი სამი ოჯახი გაყოფის ზონაში აღმოჩნდა.

როდესაც მიხეილ სააკაშვილის მთავრობის რეაქციაზე საუბრობდა, ჩოჩიევმა მიუთითა, რომ თბილისს „მოელანდა“, თითქოს რუსეთმა დაიწყო ოკუპაციის ზონების გაფართოება. ამასთან მან აღნიშნა, რომ საქართველოს არ აქვს უფლება იქონიოს პრეტენზიები იმ მიწაზე, რომელზეც სამხრეთ ოსეთი აღიდგეს სრულფასოვან კონტროლს. „ეს არის ჩვენი ტერიტორია“, მოჭრით თქვა ჩოჩიევმა და დაუმატა, საზღვრის განსაზღვრის შემდეგ რესპუბლიკა გადადგამს შემდეგ ნაბიჯებს და საქართველოს წაუყენებს ახალ წინადადებებს.

თბილისში სამხრეთ ოსეთს მთლიანად თავიანთ ტერიტორიად მიიჩნევენ და ამიტომ უარს აცხადებენ საზღვართან დაკავშირებული საკითხის განხილვაზე. როგორც გაზაფხულზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე აღნიშნავდა, ქვეყანაში არ იქნება „შინაგანი საზღვრები“. „ჩვენ ჩოჩიევის განცხადებას არ განვიხილავთ არც როგორც პროვოკაციულს და არც როგორც რაიმე მნიშვნელობის მქონეს“. საქართველოში არ იქნება არანაირი საშინაო საზღვრები“, – გვპირდებოდა მაშინ კალანდაძე.

მინისტრის მოადგილის სიტყვებით, „საქართველოს იურისდიქცია ჯერჯერობით არ ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „არანაირ ეგრეთ წოდებულ დემარკაციას და სეპარატისტების მიერ სასაზღვრო ბოძების დაყენებას არა აქვს არანაირი იურიდიული ძალა.

რაც შეეხება სიტუაციას ეთნიკურ ქართველებთან დაკავშირებით, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ სამხრეთ ოსეთში ახალგორი-ლენინგორის რაიონში, ამასთან დაკავშირებით ჩოჩიევმა ჩვენს გაზეთთან საუბარში აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ შესთავაზა მათ განსაზღვრონ ბოლოს და ბოლოს თავიანთი მოქალაქეობა, ვინაიდან საქართველო – უცხოური სახელმწიფოა.

სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ვიცესპიკერმა იური ძუწოითმა განმარტა, რომ სამუშაოთა დაწყება დაკავშირებულია იმასთან, რომ რესპუბლიკამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოახდინოს საზღვრების დემარკაცია და დემილიტარიზაცია საქართველოსთან, რომელიც კატეგორიულად აცხადებს უარს მიიჩნიოს იგი სახელმწიფო საზღვრად.

„მაგრამ ეს მათი პრობლემაა. ჩვენ ვართ აღიარებული სახელმწიფო. ვინაიდან საქართველო უარს აცხადებს მონაწილეობა მიიღოს საზღვრის დემარკაციასა და დემილიტარიზაციაში, ჩვენ ამას ვაკეთებთ ცალმხრივად, ამჟამად ჩვენს საზღვარზე საქართველოსთან არანაირი წესრიგი არ არსებობს“, – თქვა ძუწოითმა.

**ანდრეი რეზჩიკოვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# „საქართველოს მთავრობამ უნდა მიაღწიოს შეხვედრას რუსეთთან მინისტრების ან პრემიერების დონეზე“

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი საკვანძო ასტანაში ეუთოს დეკემბრის სამიტზე. ქართველმა ოპოზიციონერებმა წამოაყენეს წინადადება ფორუმამდე გაიმართოს ავტორიტეტული საერთაშორისო კონფერენცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ ინიციატივის ერთ-ერთი ავტორი – რესპუბლიკური პარტიის 42 წლის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გვიამბობს იმის შესახებ, თუ საერთაშორისო გაერთიანებას როგორ შეუძლია მოახდინოს გავლენა თბილისისა და მოსკოვის კონტაქტებზე**

– არის საშიშროება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემატიკა დაჩრდილავს ყველა დანარჩენ საკითხს ეუთოს სამიტზე. ამან კი შეიძლება მიგვიყვანოს იმასთან, რომ ფორუმი ასტანაში იყოს წარუმატებელი, საკითხის განხილვა კი გადავა ურთიერთბრალდებებში და გახდება უშედეგო. ჭეშმარიტი და მიუდგომელი დისკუსიები წინასწარ კონფერენციაზე ყველა დაინტერესებული და გავლენიანი მხარეების მონაწილეობით, მათ შორის რუსეთის პოლიტიკური და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით, შეიძლება გამხდარიყო სტიმული ამ ურთიერთობათა დაძლევისთვის ეუთოს თავად სამიტზე.



*– საერთაშორისო კონფერენციის გარდა კიდევ რა უნდა გაკეთდეს საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის რუსეთთან?*

– 2008 წლის აგვისტოდან განვლილი დროის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ რუსეთისა და ჩვენს მთავრობებს შორის რაღაც ხდება. მოსჩანს კონკრეტული შედეგები. მაგალითად, იხსნება საერთაშორისო მიმოსვლა და საზღვრები ყაზბეგის საკონტროლო-გამტარ პუნქტზე „ყაზბეგი-ზემო ლარსი“, მაგრამ გაურკვეველია, თუ კერძოდ რა ხდება და რა პირობებით, თუ კისრულობს საქართველოს ხელისუფლება რაიმე ვალდებულებებს. მე მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას დაიწყოს შეხვედრები რუსეთთან მინისტრების ან პრემიერების დონეზე. საქართველოს ხელისუფლება ვერ შეძლებს აწარმოოს პოლიტიკა ოფიციალურ დონეზე (თბილისმა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან გაწყვიტა 2 წლის წინათ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული კონფლიქტის შემდეგ). უნდა იყოს ცივილიზებული – მაშინაც კი, როდესაც მიმდინარეობს ომი, უნდა აწარმოო მოლაპარაკება. ამასთან ერთად საქართველოს ხელისუფლება გონს უნდა მოეგოს და შეწყვიტოს რუსეთის ფაქტორის როგორც საშინაო გამოყენების პიარის გამოყენება.

დასავლეთთან დაკავშირებით კი ჩვენ ცოტა ბოდიში უნდა მოვიხადოთ და ვთქვათ, რომ ჩვენ ზოგიერთი რამე ვერ შევაფასეთ, ვერ მოვუსმინოთ ზუსტ სიგნალებს, მაგალითად ნატოს წევრობასთან დაკავშირებით. ქვეყნების ჯგუფი იწონებდა ჩვენს ოპტიმიზმს, ირიბულად გვაცნობებდა, რომ 2008 ან 2009 წელს შევალთ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. მაგრამ სხვები გვეუბნებოდნენ: „გონს მოდით!“. ჩვენმა ხელისუფლებამ ასევე უნდა შეწყვიტონ საუბარი იმის შესახებ, რომ განათლება ჩვენთან უკეთესია, ვიდრე დანიაში, საავადმყოფოები კი უკეთესია ვიდრე გერმანიაში.

*– მიხეილ სააკაშვილმა შექმნა კომისია, რომელმაც 3 თვის განმავლობაში უნდა დააზუსტოს საქართველოს რუსეთთან 200-წლიანი ურთიერთობის „ისტორიული სიმართლე“.*

– ასეთი ცალმხრივი კომისიების შექმნამ შეიძლება გამოიწვიოს ისტორიული ფაქტების დევალვაცია, მათი პოლიტიზირება. ვერანაირ ისტორიულ სამართლიანობას კომისია ვერ დაადგენს, ეს არასერიოზულია. თანაც იმის თქმას, რომ ყველაფერმა, რაც იყო ორი საუკუნის ურთიერთობის განმავლობაში, საქართველოს მხოლოდ ცუდი მოუტანა, – ეს არის ღრმა პროვინციალიზმის გამოვლინება. ასე არ ხდება!

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

◉ პრობლემა



*საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, როცა ტერიტორიის 80 პროცენტზე მეტი მთაგორიანია, საავტომობილო სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებს, მით უმეტეს შიდა საავიაციო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურების შედარებით სუსტი განვითარების გამო, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.*

*ამასთან, საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დიდ ქალაქებსა და საქალაქთაშორისო საავტომობილო სამგზავრო გადაზიდვების მხრივ, სადღეისოდ შექმნილი ვითარება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამაში, დარწმუნებული ვართ, მკითხველიც დაგვეთანხმება და ამაზე სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებენ, რომლებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.*

*აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ახლო მომავალში საქართველოს პარლამენტი განიხილავს პარლამენტის წევრების ლ. თორდიას, კ. ანჯაფარიძისა და ზ. კუკავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.*

*სატრანსპორტო სამგზავრო გადაზიდვების სფეროში არსებულ მდგომარეობას და მომავალ საკანონმდებლო ცვლილებებში უკეთ გასარკვევად საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარეს ლავრენტი ალანიას ვეწვიეთ.*

# დამთავრდება სამგზავრო გადაზიდვებში არსებული დომხალი?

**რადიკალური გადაწყვეტილებები გააზრებულად და ფრთხილად უნდა მივიღოთ და არა საქმისა და ლუკმაპურის მოსაპოვებლად მომუშავე ადამიანების ინტერესთა საზიანოდ**

— საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით ყოველწლიურად საშუალოდ 290-300 მილიონი მგზავრი გადაჰყავთ, რაც მთლიანად სამგზავრო გადაზიდვების 60 პროცენტია, — თქვა ლავრენტი ალანიამ. — ქვეყნის სამგზავრო ავტოპარკი სადღეისოდ დაახლოებით 15 ათასი ავტობუსისგან შედგება, რომელთაგან 12700 მცირე ტევადობისაა (მიკროავტობუსიძ. ყველას მოეხსენება, რომ ბოლო ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი ტევადობის ავტობუსების პარკი მნიშვნელოვნად განახლდა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით მცირე და საშუალო ტევადობის ავტობუსებზე, რომელთა უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 60 პროცენტიძ 15 წლის წინათ და კიდევ უფრო ადრეა გამოშვებული.

**საქართველოს სამგზავრო საავტომობილო ქსელი დაახლოებით 1300 საქალაქთაშორისო და საგარეუბნო, 550 შიდასაქალაქო და შიდასარაიონო მარშრუტს მოიცავს, რომელთა მთლიანი სიგრძე 7 ათასი კილომეტრია.**

ბატონ ალანიას თქმით, საავტომობილო სამარშრუტო ქსელის განვითარებაზე დადებითად იმოქმედა ბოლო წლებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და საგზაო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო ნორმების შესაბამისად განვითარებამ. გარკვეული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, სხვადასხვა ტევადობის ავტობუსებით სამგზავრო გადაზიდვებში ბოლო დროს მრავალი პრობლემა დაგროვდა, რომლებიც მგზავრთა გადაყვანის მომსახურების დონეს, კომფორტსა და მოძრაობის უსაფრთხოებას უკავშირდება.

— ამასთან, გასათვალისწინებელია დიდი ქალაქების, კერძოდ, თბილისის სატრანსპორტო საშუალებებით გადატვირთვის, მოძრაობის ინტენსივობისა და საცობების უკმარისობის საკითხებიც. გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჩატარებული გაანგარიშებით, დედაქალაქში დაახლოებით 2800 „მარშრუტკას“ უნდა ემოძრავა, არადა სადღეისოდ თბილისში 7 ათასი მიკროავტობუსი მოძრაობს სხვადასხვა სვლაგეზით, რაც, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონით და, ბუნებრივია, საქალაქო ტრანსპორტით მომსახურებაზე მოთხოვნილებითაა განპირობებული, — განაგრძობს პროფკავშირების თავკაცი. — თქმა არ უნდა, მოსაკრებლის გადახდით დედაქალაქის ბიუჯეტი უფრო მეტად კი ივსება, მაგრამ საქმეს აფუჭებს მგზავრობის, ეკოლოგიური, სანიტარიული და ა. შ. უსაფრთხოების უგულებელყოფა.

**ამავე დროს, ხაზგასმით მსურს აღვნიშნო და მინდა, რომ ეს აზრი ყველა დონეზე გაიზიარონ: საშუალო ტევადობის ავტობუსების (მიკროავტობუსების ანუ იგივე „მარშრუტკების“) რიცხოვნობის ერთი ხელის დაკვრით შემცირება, როგორც ამას ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე ფიქრობს, დედაქალაქში (და არა მარტო აქ) უდიდეს ვნებათაღელვასა და ისედაც მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს უკიდურესად დაამძიმებს.** საქმე ის არის, რომ სამომავლოდ დედაქალაქსა და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებში სამგზავრო გადაზიდვები დიდი ტევადობის ავტობუსების ოდენობის მომატების მიმართულებით უნდა განვითარდეს, რაც, თავისთავად, ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ამჟამად იმ ხალხის რიცხოვნობის მკვეთრად შემცირება, ვინც მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანით ირჩენს თავს, მათ ოჯახებს ულუკმაპუროდ დარჩენის საფრთხის წინაშე აყენებს. ამდენად ამ პრობლემას დიდი სიფრთხილით უნდა მივდგომა. ამიტომაც საჭიროა, რომ მომავალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა უარყოფითი შედეგი არ მოიტანოს, რაც, შესაძლოა, მთლად ბოლომდე გაუაზრებელ გადაწყვეტილებათა მიღებასა და ამით გამოწვეულ უკმაყოფილებას მოჰყვეს. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ **სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის თანახმად, სიახლეები გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედდეს, რასაც გონიერებასთან საერთო არაფერი აქვს.**

ამასთან, ხაზგასმით უნდა განვაცხადო, რომ ქვეყანაში სამგზავრო გადაზიდვების მომსახურებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად მრავალი ღონისძიებაა უცილობლად განსახორციელებელი. მათ შორის, **საჭიროა საკანონმდებლო ბაზისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრულყოფა ისე, რომ უფლებამოსილი მეწარმე-გადამზიდავი და მძღოლი თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს როგორც სამუშაო პროცესში, ასევე საკუთარი საკანონმდებლო უზრუნველყოფის მხრივ. ამასთან, საჭიროა სამგზავრო გადაზიდვების სფეროში ზედამხედველობისა და კონტროლის გამკაცრება, ასევე საშემსრულებლო დისციპლინის მკვეთრად ამაღლება; მგზავრთა გადაყვანის სფეროში არაჯანსაღი კონკურენტული გარემოს აღმოფხვრა; აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას სამგზავრო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის ერთიანი წესი, რომელიც ასევე სამარშრუტო სამგზავრო გადაზიდვების უფლებამოსილების მოპოვების პირობებსა და პროცედურებს, აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობის წესს დაადგენს და მგზავრთა გადაზიდვის დამკვეთსა და გადამზიდავს შორის უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განაწილებას დაადგენს, გაარკვევს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და პირობებს და ა. შ.**

**საქართველოს საავტომობილო გზებზე შარშან 5482 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომლებშიც დაიღუპა 741, ხოლო დაშავდა 8344 კაცი. იმის მიუხედავად, რომ ავტობუსები მგზავრთა გადამზიდავი პარკის მხოლოდ 3,5 პროცენტს შეადგენენ, ავტოსაგზაო შემთხვევათა 6,1 პროცენტი, დაღუპულთა 9,6 პროცენტი და დაშავებულთა 6,8 პროცენტი სწორედ ავტობუსებზე მოდის. ავტობუსების მონაწილეობით მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპულთა 10,9 პროცენტი 16 წლამდე ასაკისაა. ეს საშინელი ციფრები რამდენჯერმე აღემატება ევროპის საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიურ მონაცემებს. ასევე მეტად არასახარბიელოა დიდ ქალაქებსა და მაგისტრალებზე გამონაბოლქვი გაზებით გარემოს დაბინძურების მდგომარეობა, რომლის 30 პროცენტი სწორედ ავტობუსებზე მოდის.**

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის თავკაცი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მგზავრთა გადაყვანის სფეროში დასაქმებულ პირთა და მძღოლთა პროფესიული მომზადების დონეს, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველსაყოფად მარშრუტებზე უნდა შეიქმნას მუშაობის მონიტორინგის, ტექნიკური მომსახურებისა და სადიაგნოსტიკო თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი პუნქტები. ამ უკანასკნელთა აუცილებლობას ბოლო დროს საქართველოს საავტომობილო გზებზე ავტოსაგზაო შემთხვევათა სავალალო სტატისტიკა მოწმობს.

— ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სწორი იქნება გადამზიდველის სტატუსის მქონე ფირმების გამსხვილება, რის შედეგად თითოეზე ჩამოსათვლელილა იქნება ამა თუ იმ უბნის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი, ოღონდ ამჟამად სფეროში დასაქმებულ ხალხს ახლადმიღებული კანონით დადგენილი ნორმებისა და პირობების შესასრულებლად რეალური დრო უნდა დავუწესოთ და არა ის ვადა, თუ რომელ ჩინოსანს რამდენი მოეპრიანება, რაც მათ შემდგომ გამართულად მუშაობისა და ოჯახების შენახვის შესაძლებლობას მისცემს, — ესაა ბატონ ლავრენტი ალანიას საუბრის ერთგვარი რეზიუმე. — არავის ეგონოს, რომ ეს ეხება წვრილ თუ საშუალო მეწარმეებს, ლაპარაკია მხოლოდ იმ ფირმებზე, ვისაც გადამზიდავის სტატუსი ექნება მინიჭებული, ისე კი მასში რამდენიც გნებავთ იმდენი კერძო მეწარმე იყოს გაწევრებული. ვიმეორებ: გადამზიდავი კი შესაბამისი ბაზის მქონე იურიდიული პირი უნდა იყოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ წკეპლიკა

# მგზავრის სარკინიგზო ვნებანი

**მშობლიურ ხაშურში თბილისი-ქუთაისით ორ საათში ჩაგრიალებულს რკინიგზის ვაგზლის წინ ვეებერთელა მოედანი მოასფალტებული დამხვდა.**

**მოედანს მიმაერთებელ ცენტრალურ ქუჩაზეც აგებენ ასფალტს, თან ქუჩის ორივე მხარეს გამყოლ წყალსაწრეტ არხებს ხელახლა აკეთებენ.**

**თვალს გაეხარდა ეს ყველაფერი...**

**ვაგზლის ხსენებაზე კი ერთი უკმაყოფილება უნდა გამოვთქვა: ვერც მატარებლიდან „ჩამომხდარი“ შეხვალთ ბაქნიდან მოსაცდელ დარბაზში და ცხადია, ვერც „პირიქით“ გახვალთ დარბაზიდან ბაქანზე — გარეთ უნდა გამოხვიდეთ და ვრცელ შენობას ერთ-ერთი მხრიდან შემოუაროთ: ყველა კარი გულმოდგინედაა ჩარაზული. კაი ხანია ასეა და ვერცვინ ამიხსნა, რატომ...**

**კიდევ ერთი რამ და გთხოვთ, გასაოცებლად მოემზადოთ: იმ ელექტრომატარებელზე ხაშურამდე თბილისიდან მგზავრობა 3 ლარი ღირს და ჯერ არ გაძვირებულა, ხოლო ხაშურიდან თბილისამდე ქუთაისი-თბილისის იმავე მატარებლით სულ 1 ლარი „ნაღირება“ (მე არ მიმგზავრია, მაგრამ ნამდვილად ასე ყოფილა).**

**თბილისიდან ხაშურამდე „მიმავალი ქარი“ და მიმავალი მგზავრი რომ იმავე მანძილს გაივლის, რამდენსაც „პირუკუ“ — ხაშურიდან თბილისს მიმავალი, ამას, იმედია, ჩვენი რკინიგზის ბოსები სადავოდ არ გახდიან; მაშ რა ხდება, რატომაა თბილისისკენ მგზავრობა სამჯერ იაფი, ვიდრე თბილისიდან? ჯერ მეგონა, ალბათ ის მატარებელი ხაშურიდან თბილისამდე ყველა სადგურში ჩერდება (ანუ ჩქარი აღარ არის) და იმიტომ-მეთქი, მაგრამ გამოკითხვით დავადგინეთ, რომ მოძრაობის გრაფიკი იგივეა.**

**ნეტავ რა არის ამგვარი უცნაურობის მიზეზი? რეფორმებში ასეთი რამეებიც შედის?**

**ერთი რამე კი მაცბუნებს და მაშინებს, ამ წერილს რომ ვწერ: თუ გამოქვეყნდება და რკინიგზის ხელმძღვანელებს თვალში მოხვდებათ, ვაითუ ფასები გაათანაბრონ უარესი ვარიანტით — ხაშურიდანაც 3 ლარი გახადონ, ნაცვლად თბილისიდან 1 ლარის დაწესებისა... არ გინდოდათ ქათამიო?..**

**თამაზ ეზანოიძე**

◉ ინფორმაცია

## პატიმრებთან გადარიცხულ ფულს ბეგრავენ

**პირველი ოქტომბრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებისთვის გადარიცხული ფული 12 პროცენტით დაიბეგრება. „საგადასახადო კოდექსის“ თანახმად, სასჯელაღსრულების დასწესებულებაში მოთავსებული პირისთვის თანხის გადარიცხვა არანათესავი პირის მიერ 12 პროცენტით დაიბეგრება. თუმცა კანონის მიხედვით, დაბეგვრას არ ექვემდებარება გარეშე პირის მიერ გადარიცხული 1000 ლარამდე თანხა.**



**აღნიშნული არ ვრცელდება ოჯახის წევრების მიერ პატიმრობის ადგილებში მყოფთათვის ჩარიცხულ თანხებზე.**

**კანონის საფუძველზე ოჯახის წევრების მიერ პატიმრებისთვის ჩარიცხული თანხა 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.**

**უნდა აღინიშნოს რომ საპატიმრო ადგილებში დასაქმებული პატიმრების საშემოსავლო განაკვეთიც 12 პროცენტს შეადგენს.**

## უსამძიმრებენ მექსიკაში სტიქიისგან დაღუპულთა ოჯახებს

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მექსიკის შეერთებულ შტატებში წარმოქმნილი მეწყერის შესახებ განცხადებას ავრცელებს. — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა მწუხარებას მექსიკის შეერთებული შტატების სამხრეთ რეგიონებში ძლიერი წვიმების შედეგად წარმოქმნილი მეწყერის გამო, რის შედეგადაც 12 ადამიანი დაიღუპა და ამდენივე დაკარგულად არის მიჩნეული, — ნათქვამია განცხადებაში.**

**ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## სპორტი და პოლიტიკა



# კაი ტურასაც დაიჭერენ!

**ამ დღეებში საქართველოს ისტორიულ შავიზღვისპირეთში საზეიმოდ აღინიშნა „რუსეთისა და აფხაზეთის 200-წლოვანი ერთიანობა“.**

განა შეიძლებოდა, ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას „მოძმე ქვეყნების“ სპორტული სამყარო არ გამოხმაურებოდა? არ შეიძლებოდა და არც გაუშვეს ხელი-



დან „თანასწორუფლებიანობის“ კიდე ერთხელ დემონსტრირების შანსი.

იმ საჩოგბურთო ტურნირზე მოგახსენებთ, სოხუმში ჩრდილოელ შოვინისტთა და კავკასიელ სეპარატისტთა თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობით რომ გაიმართა და რომელსაც ვრცელი სიუჟეტი „ნტვ ტენისის“ გადაცემამ „ღია კორტზე“ მიუძღვნა.

ზემოთ სპორტული სამყარო კი ვახსენეთ, მაგრამ მის ღირსეულ წევრთაგან მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი, ფრენბურთელი ვლადიმირ კონდრა მიიჩნიეს სიუჟეტის ავტორებმა ინტერვიუს ღირსად.

სამაგიეროდ, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები აფსუათა დიდი მეგობრის კონსტანტინე ზატულინის თავკაცობით, რომელთაც ფინიასათვის ჩვეული მორჩილებით შესციცინებდა „პრემიერი“ სერგეი შამბა.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: გამარჯვებულნი თვით იქაურმა მღვდელთმთავარმა ბესარიონ აპლიამ დალოცა!

და ამ დროს ქართული სპორტის მამები და დედები, მათ შორის ლეილა მესხი, სირაქლემას პოზას ინარჩუნებენ და ხმას არ იღებენ.

**გია პლატონიშვილი**

## ჭადრაკი

# სერბებთან მარცხს არავინ ელოდა

**ხანტი-მანსიისკში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე შვიდი ტურის შემდეგ საქართველოს ქალთა ნაკრებს მკვიდრად ეკავა მეორე პოზიცია და ძნელი დასაჯერებელიც იყო, რომ მე-8 ტურში სერბეთის ნაკრებთან პაექრობისას მორიგ ორ ქულას არ ჩაიწერდა გათამაშების ცხრილში. თუმცა, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა და... ქართველი დიდოსტატები, სამწუხაროდ, ექსიუგებს დანებდნენ (1,5:2,5ძ. მართალია, ბელა ხოტენაშვილმა მე-4 დაფაზე იოვანა ერიჩი დაამარცხა, მაგრამ წარმატებისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი: ნანა ძაგნიძემ და სალომე მელიამ, შესაბამისად, ნატაშა ბოიკოვიჩთან და ირინა ჩელუშკინასთან წააგეს, სოფიო ხუხაშვილი კი ანჟელიკა სტოიანოვიჩს შეუთანხმდა ყაიმზე.**

კვლავ წარმატებით ითამაშა რუსეთის ქალთა ნაკრებმა – 3,5:0,5 სძლია ინდოეთის ეროვნულ გუნდს და მიზანსაც კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. თავი ისახელა რუსეთის მეორე ნაკრებმაც – 3:1 მოუგო ამერიკელებს. 8 ტურის შემდეგ 16 ქულით რუსეთის პირველი ნაკრები ლიდერობდა. 13-13 ქულით მეორე-მესამე ადგილებს რუსეთის მეორე ნაკრები და სერბები იყოფდნენ, ხოლო „ჯვაროსნებს“ 12 ქულა ჰქონდათ.

ვაჟებში უკრაინელები მეწინავეობდნენ. მე-8 ტურში ისინი რუსეთის პირველ ნაკრებს დაუზავდნენ.




ქართველმა დიდოსტატებმა ბელარუსებს აჯობეს (ბაადურ ჯობავა – სერგეი ჟიგალკო 1:0, ვიტალი ტეტერევი – მერაბ გაგუნაშვილი 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი – ევგენი პოდოლჩენკო, კირილ სტუპაკი – თამაზ გელაშვილი 0,5:0,5ძ – 2,5:1,5. სომხებმა პოლონელებს სძლიეს 2,5:1,5. ასეთივე ანგარიშით ფრანგებმა რუსეთის მეორე ნაკრები დაამარცხეს. 8 ტურის შემდეგ 6 გუნდმა, მათ შორის ჩვენმაც, მოაგროვა13-13 ქულა, ისინი მეორე-მეშვიდე ადგილებს იყოფდნენ.

**ლაშა დიდია**

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**უკვე გაუწყეთ, რომ XXII – ეროვნული ჩემპიონსტის VIII ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს ლიდერებმა – „ზესტაფონმა“ და თბილისის „დინამომ“.**

რაც შეეხება დანარჩენ მატჩებს, აღსანიშნავია უმაღლეს ლიგაში სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული ქუთაისის „ტორპედოს“ მიერ სტუმრად „ცხინვალთან“ მოგებული პირველი შეხვედრა – 2:1 და ზუგდიდის „ბაიას“ მიერ შინ ფოთის „კოლხეთთან“ ასეთივე წარმატებული შედეგით დასრულებული მეგრული დერბი. იმავე დღეს განსაკუთრებული ფაქტი მოხდა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის რუსთავის „ოლიმპის“ ბანაკში – წინა ბრძოლაში ფოთელებთან კატასტროფული მარცხის (1:5) შემდეგ ორთამაშიანი ტაიმ-აუტი აიღო ქვემოქართლელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ და მის ნაცვლად „სამტრედიასთან“ „ფოლადის“ სტადიონზე გამართულ დუელში შეგირდები თანაშემწეებმა არმაზ ჯელაძემ და იური გაბისკირიამ დამოძღვრეს. თითქოს ამას უცდიდაო, გოლების გემო გაიხსენა ფავორიტის ბომბარდირმა მოდებაძემ და პარტნიორებს „ჰეთ-თრიქით“ შეეწია – 3:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“ – 18, „დინამო“, ოლიმპი“ – 16-16, „ვიტ ჯორჯია“ – 13, „ბაია“ – 12, „კოლხეთი“ – 11, „სიონი“ – 10, „ტორპედო“ – 6, „ცხინვალი“ – 5, „სამტრედია“ – 4 ქულა.

* * *

**ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი. II ტური. „ა“ ჯგუფი.** „ინტერი“ – „ვერდერი“ 4:0 (ეტოო – 3, სნეიდერიძ, „ტოტენჰემი“ – „ტვენტე“ 4:1 (ვან დერ ვაარტი, პავლიუჩენკო – 2, ბეილი; ჩადლიძ.



„ინტერი“, „ტოტენჰემი“ – 4-4, „ტვენტე“, „ვერდერი“ – 1-1 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „შალკე“ – „ბენფიკა“ 2:0 (ფარფანი, ჰუნტელაარიძ, „ჰაპოელი“ – „ლიონი“ 1:3 (ენიამა; ბასტოსი – 2, პიანიჩიძ.

„ლიონი“ – 6, „ბენფიკა“, „შალკე“ – 3-3, „ჰაპოელი“ – 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ვალენსია“ – „მანჩესტერი“ 0:1 (ჩიჩარიტოძ, „რეინჯერსი“ – „ბურსასპორი“ 1:0 (ნეისმიტიძ.

„მანჩესტერი“, „რეინჯერსი“ – 4-4, „ვალენსია“ – 3, „ბურსასპორი“ – 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „რუბინი“ – „ბარსელონა“ 1:1 (ნობოა; ვილიაძ, „პანათინაიკოსი“ – „კოპენჰაგენი“ 0:2 (ნდოიე, ვინგაარდიძ.

„კოპენჰაგენი“ – 6, „ბარსელონა“ – 4, „რუბინი“ – 1, „პანათინაიკოსი“ – 0 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

## წყალბურთი

# თბილისი ლენტრიფს უმასპინძლებს

**თბილისში 7-10 ოქტომბერს წყალბურთში ლენტრიფის (ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციისძ თასის გათამაშების პირველი რაუნდის შეხვედრები გაიმართება. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად 6 გუნდი იბრძოლებს – „ლიგამუსი“-„თბილისი“, უნგრეთის „ჰონვედი“, საფრანგეთის „ოლიმპიკი“, იტალიის „პოსილიპო“, თურქეთის ენკა და ისრაელის ასა. მომდევნო ეტაპზე ოთხი გუნდი გავა.**

**პირველი რაუნდის შეხვედრათა კალენდარი ასეთია:**



**7 ოქტომბერი.** „პონვედი“ (ბუდაპეშტიძ – „ოლიმპიკი“ (ნიცაძ, „პოსილიპო“ (ნეაპოლიძ – ენკა (სტამბოლიძ, „ლიგამუსი-თბილისი“ – ასა (თელ-ავივიძ.

**8 ოქტომბერი.** „პოსილიპო“ – „ოლიმპიკი“, „ჰონვედი“ – ასა, „ლიგამუსი-თბილისი“ – ენკა; „პოსილიპო“ – ასა, ენკა – „ოლიმპიკი“, „ლიგამუსი-თბილისი“ – „ჰონვედი“.

**9 ოქტომბერი.** ენკა – ასა, „ ჰონვედი“ – „პოსილიპო“, „ოლიმპიკი“ – „ლიგამუსი-თბილისი“.

**10 ოქტომბერი.** „ჰონვედი“ – ენკა, „ოლიმპიკი“ – ასა, „ლიგამუსი-თბილისი“ – „„პოსილიპო“.

შეხვედრები საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში გაიმართება.

## არჩევნები

# კირსანის ერა გრძელდება



**ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ხანტი-მანსიისკში გამართულ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე საპოსტო არჩევნები მსოფლიოს მე-12 ჩემპიონსა და ერთადერთ კონკურენტს ანატოლი კარპოვს მოუგო და თანამდებობა მორიგი ოთხწლიანი ვადით შეინარჩუნა.**

ყალმუხეთის ყოფილმა თავკაცმა, რომელმაც საამისოდ მშობლიური რესპუბლიკის ლიდერობა დათმო, 95 ხმა მიიღო, მის მრისხანე მეტოქეს კი მხოლოდ 65 მომხრე აღმოაჩნდა. კიდევ სამმა დელეგატმა თავი შეიკავა, ხოლო ორი ბიულეტენი ბათილად ცნეს.

აღსანიშნავია, რომ ხმათა დათვლის დასრულებისთანავე გამარჯვებულმა წაგებულს ფიდეს ვიცეპრეზიდენტობა შესთავაზა, ამ უკანასკნელმა კი საპასუხოდ დრო ითხოვა.

## ინტერნეტიდან

# დოპინგზე ჩავარდა

**მას შემდეგ, რაც პლანეტის უძლიერესი ველომრბოლის სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოაჩინეს, ალბერტო კონტადორი დროებით შეჯიბრებებიდან მოკვეთეს.**

შეგახსენებთ, რომ წლეულს ესპანელი უკვე მესამედ გახდა სეზონის უპრესტიჟულესი „ტურ დე ფრან-




სის“ გამარჯვებული და სწორედ მისი მსვლელობისას აღებულმა ერთ-ერთმა სინჯმა მოგვცა დადებითი შედეგი – ლეგენდარული პირენეელის სისხლში, ანაბოლიკი კლენბუტეროლი იპოვეს. მართალია, უმცირესი დოზით, მაგრამ მაინც – იგი ხომ კუნთების ზრდასა და ძალების ჭარბ მოზღვავებას იწვევს.

რაც შეეხება თვით სპორტსმენის რეაქციას, რომელიც ახლახან „ასტანადან“ „საქსო ბანკში“ გადაბარგდა, მისი წარმომადგენლის განცხადებით, სტეროიდი ალბერტოს ორგანიზმში მხოლოდ მოწამლული საკვებით შეიძლებოდა მოხვედრილიყო.

# ცხოველთა სამყაროში

**ახლახან თანამეგობრობის თამაშების (იხსნება 3 ოქტომბერსძ მონაწილეთა ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში შხამიანი კობრა(!ძ აღმოაჩინეს, რამაც, ბუნებრივია, ინდოეთის დედაქალაქში ჩასვლის სურვილი ბევრს მოუკლა. თუმცა, დელიში პრობლემებს რა გამოლევს.**

ერთ-ერთ მათგანთან – მაკაკებთან გასამკლავებლად ორგანიზატორებმა უზარმაზარი აგრესიულ მაიმუნებს – ლანგურებს მიმართეს, რომლებიც მომთვინიერებელთა მეთვალყურეობით შეასრულებენ მათზე (სულ 38 ცალიძ დაკისრებულ ფუნქციას.

მანამდე მეგაპოლისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა 100 მაწანწალა ძაღლი დაიჭირეს, მაგრამ დღემდე ვერ მოუფიქრებიათ, რა მოუხერხონ „ოლიმპიური სოფლის“ ტერიტორიაზე თავისუფლად მონავარდე ველურ ცხოველებს.



◎ „ჭყონდიდელობა“ – 2010

# დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის

**მარტვილი, ისტორიული ჭყონდიდი... პირველი შეგებება მთის წვერზე მტრედივით შეფრენილი მონასტერი, მზე დიადემად რომ ადგას გამთენიის დღეს, 25 სექტემბერს აქ მორიგი „ჭყონდიდელობაა“.**

ეს ბრწყინვალე დღესასწაული ადგილობრივთათვის ერთგვარ ანგარიშის პარამეტრად იქცა, თუ რაც გააკეთეს წლიდან წლამდე. ჩამოსული კაცისთვის შარშანდელთან შედარება და წინსვლა მართლაც თვალში საცემია. მოგვიანებით ადგილობრივ გაზეთში (რედაქტორი – ფაუსტ ნადარაიაძე, გავეცანი ობები უნდა ელტვოდნენ სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის ტანდემის ასეთ სიმაღლეებს, რათა კვლავაც გაიდოს ხიდი წარსულსა და მომავალს შორის.

მონასტერში, რომელიც 14 საუკუნეს მოითვლის, წმინდანის გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღეს, მისი სადიდებელი და სავედრებელი წირვა-ლოცვა აღავლინა მარტვილის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე პეტრემ. ლოცვას აღავლენდნენ საქართველოს ეპარქიათა საჭეთმპყრობელები და არც ტაძარში და არც მის შემოგარენში ტევა



დიდ ჩამონათვალს – მშენებლობის ბუმია – საფეხბურთო მოედნები, ბაღებისა და სკოლების რემონტი, ხიდები, ბოგირები, გზები, გარე განათებები, წყალგაყვანილობის რეაბილიტაცია და ა. შ. ახალმოასფალტებული გზის ნაპირებს თეთრი ქვები არშიად მიჰყვება.

მარტვილის საკათედრო ტაძარი დიდი ჭყონის (მუხისძ ნაფუძარზე არის აგებული და კურთხეულია თვით ანდრია პირველწოდებულის მიერ. აღმართით მთის ირგვლივ მწვერვალისკენ მივიწევთ, გზას ტაძრამდე მივყავართ, გუგუნებენ ზარები მთელი საქართველოს გასაგონად. გავყურებ სივრცეს იმ ადგილიდან, საიდანაც როგორც ამბობდნენ, მეფე დავითის და მისი აღმზრდელის, გიორგი ჭყონდიდელის ღვთიური ლოცვანი განეფინებოდნენ ქვეყანას. აქედან მოჩანს გელათისა და წალენჯიხის მონასტრები – დიდებული სამეულია. რომ არ ყოფილიყო არისტოტელე, არ იქნებოდა მაკედონელი, რომ არ ყოფილიყო ჭყონდიდელი, არ იქნებოდა დავით აღმაშენებელი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ასეთი შეფასება მისცა დიდი მღვდელმთავრის ღვაწლს – საქართველო გიორგი ჭყონდიდელმა გადაარჩინაო. საერთო და სასულიერო მოღვაწეობის ერთიანობის ქართულ ფენომენს კარგად იცნობდა მაშინდელი ევროპა და ეს მოდელი საფრანგეთმაც გადაიღო... უძლეველობის საიდუმლო ღვთის რწმენა, ქრისტიანული ზნეობა, ერში სამუდამოდ ჩაკირული მამულიშვილობაა, პატრიოტიზმს რომ ვეძახით დღეს. ახალმა თაობამ მუხლი მოიდრიკა იმ კაცის წინაშე, რომელმაც აღზარდა მეფე და მონა, რაზეც მეტყველებს დავითის ანდერძი – „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“. მსგავსი რამ არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. თაარ იყო, თითქოს თან გვდევდა წინაპართა აჩრდილები, თითქოს საფლავიდან მოგვძახიან დავით დადიანის, ეკატერინე ჭავჭავაძის, ბაგრატ IV სულები, როგორც საქართველოს თანმდევნი...

გიორგი ჭყონდიდელი ქვეყნის გადარჩენასთან ასოცირდება. ღმერთს ღმრთისას აძლევდა და ქვეყანას – ქვეყნისას, ეს იყო სულიერი და მატერიალური აღმავლობის ხანა, თავისუფლების, თანასწორობისა და ერთიანობის სრულიად ახალი ეროვნული ფსიქიკის ჩამოყალიბების ხანა. „ჭყონდიდლობის“ დღესასწაულიც იყო სულიერი მიახლოება ამ ძლევამოსილ ეპოქასთან, ღვთიურობისა და ეროვნულობის ზეიმი. არც დიდგორი ყოფილა ულვთოდ, რწმენამ და სიყვარულმა გაგვამარჯვებინა მაშინ. დავითის ხმლით შემოხაზული გმირული ისტორია ჭყონდიდელის სიბრძნით იყო გაცისკროვნებული. ხსნის და გადარჩენის სხვა გზა ახლაც არ არსებობს, კვლავაც უნდა დაიდოს ბინა ღმერთმა ჩვენს გულში, რათა კიდევ ერთი დიდგორი დავუდგათ მტერს...

განათლებულ-გაბრწყინებული მარტვილის ცენტრი, ლამაზი და თანამედროვე, ზეიმობდა ახალგაზრდობა, რომელსაც უნდა ახსოვდეს, რომ ეროვნულობის, მამულიშვილობის გარეშე ყოველგვარი განათლების ფესვებს მოწყვეტილია, ყოველი კაცი თავისი ქვეყნის დესპანი უნდა იყოს, ღირსეული შვილი თავისი ერისა, მისი ხასიათისა და წესის მატარებელი, ამიტომაც არ უნდა გაწყდეს ისტორიული მეხსიერება. ვინც უარს ამბობს წარსულზე, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა – იციან ეს მარტვილელებმა, ამიტომაც შეძლეს დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის.

**ზურაბ აბრალავა,**
**„სრ“ საკ კორ.**

გახსენება

# აკადემიკოსი გურამ ხარატიშვილი

**ერთი წელი გავიდა აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის ტრაგიკული გარდაცვალებიდან. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ცნობილი მათემატიკოსისა და მკვლევარის ამ ქვეყნიდან წასვლით ქართულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.**

**მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გ.ხარატიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში, მერე კი მოსკოვში ვ.სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში აკად. რ.გამყრელიძის ხელმძღვანელობით ეწევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ოპტიმალური მართვის თეორიის დარგში. მისი კვლევის შედეგებს მიეძღვნა ლ.პონტრიაგინის, ვ.ბოლტიანსკის, რ.გამყრელიძისა და ე.მიშჩენკოს ცნობილი მონოგრაფიის „ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორია“ ცალკე თავი.**



**იგი ითვლება ოპტიმალური მართვის თეორიის შემუშავების ორგანიზატორად და ანდრია რაზმაძის ტრადიციების გამგრძელებლად საქართველოში.**

**აკად.გ.ხარატიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი გამოკვლევებში, რომლებიც შეეხება დიფერენციალურ განტოლებებს და მართვის თეორიას, ექსტრემალური ამოცანების ზოგად თეორიას, დიფერენციალური თამაშების თეორიას, რიცხვით მეთოდებს ოპტიმალურ ამოცანებში, მათემატიკური მოდელირების თეორიას და მათემატიკის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.**

**ყველგან, სადაც კი აკად.გ.ხარატიშვილმა იმუშავა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, კათედრის გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის და კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, თანამშრომლებს იგი ახსოვთ როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, გულისხმიერი ამხანაგი, ამავე დროს პრინციპული, საქმისადმი თავდადებული, უაღრესად პატიოსანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ღირსეული პიროვნება.**

**განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე, სადაც მისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობითა და დიდი მონდომებით ემსახურებოდა მეცნიერების ორგანიზაციისა და განვითარების საერთო საქმეს. იგი იყო „მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და აკადემიის ერთ-ერთი წამყვანი მათემატიკური ჟურნალის თანარედაქტორი.**

**2001 წელს აკად.გ.ხარატიშვილს თავის მოწაფეებთან ერთად მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია ნაშრომთა ციკლისათვის – „გადახრილარგუმენტიან დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნების ვარიაციის თეორია და მისი გამოყენება ოპტიმალური მართვის ამოცანებში წყვეტილი საწყისი პირობით“.**

**გ.ხარატიშვილი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია სიმპოზიუმი მართვის თეორიის საკითხებზე (ლოს-ანჯელესი, მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი (ნიცა, 1970წ, საერთაშორისო სიმპოზიუმები (თბილისი, 1969, 1976წ.**

**1969 წელს გ.ხარატიშვილი მართვის თეორიის ფუძემდებელმა რ.ბელმანმა სამხრეთ კალიფორნიის (აშშ) უნივერსიტეტში მიიწვია ლექციების წასაკითხად.**

**განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ.ხარატიშვილის ღვაწლი ქართველ მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში, რასაც დიდი სიყვარულითა და მონდომებით ეკიდებოდა. მისი აღზრდილი მოწაფეები საქვეყნოდ აღიარებული სპეციალისტები არიან.**

**აკად.გ.ხარატიშვილმა ძალიან ბევრი გააკეთა ერისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი წავიდა. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება აკადემიის წევრთა და სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლების, მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების, მთელი ჩვენი სამეცნიერო ინტელიგენციის მეხსიერებაში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

◎ ინფორმაცია

## დააკავეს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ თაღლითური გზით თანხის მითვისების ფაქტზე დააკავა სასაზღვრო პოლიციის საზღვაო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, კაპიტან-ლეიტენანტი თემურ წულუკიძე.**

სამართალდამცავების ინფორმაციით, დაკავებულმა პოლიციელმა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირის შესაწყალებელთა სიაში ჩასმის დახმარების მოტივით დაკავებულის ოჯახის წევრებს თაღლითურად გამოსძალა 21 000 ამერიკული დოლარი და 1 500 ლარი.

თემურ წულუკიძე აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბატონ გენო შეროზიას გარდაეცვალა დედა**

**ნათელა გრიგოლის ასული**
**სხულუხია-შეროზია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს დიდუბე-ჩუღურეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეს ალექსანდრე ვაშაკიძეს**

**მეუღლის**

**გარდაცვალების გამო.**

◎ კორუფცია

# წვევამდელთათვის სულ ერთია, სად წავა გადახდილი თანხა – ბიუჯეტში, ჩინოვნიკის ჯიბეში თუ ნაციონალური მოძრაობის ყულაბაში

**როგორც ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები ამბობენ, ხელისუფლების მონაცემებით, საქართველოში 30 ათასამდე წვევამდელი გვყავს. თანხების უქონლობის გამო ჯარში მხოლოდ 3 ათასს იწვევენ. სად მიდის 27 ათასი „პრიზივნიკი“ – არსებული კანონმდებლობით სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლის გადავადება 2 ათასი ლარი ღირს, წესით, გაწვევისაგან გადავადებულებს ხაზინაში სოლიდური თანხა უნდა შეეტანათ, მაგრამ ოფიციალური მონაცემებით ირკვევა, რომ გადავადების ღირებულება მხოლოდ 160-ს აქვს გადახდილი. სააკაშვილის რეჟიმი თეთრსაც არავის პატიობს. მაშ რა ხდება? სპეციალისტების მოსაზრებით, უკვე შევსებული და დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალები გადარჩენილებს გადავადების ნახევარს ახდევინებენ. ეს ხდება ფარულად, არაოფიციალურად. კმაყოფილები რჩებიან ჩინოვნიკებიცა და გასაწვევთა ოჯახიც.**

ქართულ ჯარში არსებობს დანაყოფი (სახელმწიფო ობიექტების დაცვაძ, რომელშიც გაწვეულები ძირითადად ხელისუფლების მაღალი ეშელონების, მათი ნათესავების, ახლობლების შვილები არიან. სამსახურის გავლის პრინციპი მარტივია – ნაწილში სამ დღეში ერთხელ გამოცხადება. და ამას ჰქვია სამხედრო სამსახურის „გავლა“. ეს პრივილეგირებული სამსახური შევარდნაძის დროს უშიშროებას ექვემდებარეობდა. „ნაცების“ მოსვლის შემდეგ კი – მხოლოდ სააკაშვილის დაცვას. ისინი იცავენ სახელმწიფო ობიექტებს, კანცელარიას, პარლამენტის შენობას.

ყველაფერში უცხოელების წამბაძველი ხელისუფლება, რომელიც ტაშ-ფანდურების მოწყობასაა გადაყოლილი და სხვა საჭიროებებისათვის ფულს ვერ იმეტებს, ამ შემთხვევაში მოწინავე ქვეყნებს ვეღარ უტოლდება და იძულებულია, დაცვის სამსახური წვევამდელებით დააკომპლექტოს, ევროპასა და აშშ-ში ამ სამსახურში „კონტრაქტნიკები“ მსახურობენ. „ნაციონალებს“ ეს ძვირი დაუჯდებათ. თუმცა გამოსავალი ნაპოვნია.

წვევამდელისთვის რა მნიშვნელობა აქვს სად წავა მისი გადახდილი თანხა: ბიუჯეტში, ჩინოვნიკის ჯიბეში თუ ა. შ. ბიუჯეტში წასული თანხა ხომ იგივეა, რაც „ნაციონალების“ ყულაბა, რადგანაც იქედან თანხები „უპრაგონოდ“ იხარჯება. აღსანიშნავია, რომ ნათესაობით, ნაცნობობით საქმეების ჩაწყობაც კორუფციის ერთ-ერთი სახეობაა.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ დედამიწა

# წყალი თუ... ფული?



**სკოლის გეოგრაფიიდანვე ცნობილია, რომ დედამიწის ზედაპირის ოთხი მეხუთედი ნაწილი მსოფლიო ოკეანეს უკავია, თუმცა წყლის ამ უზარმაზარი მასიდან მტკნარი წყალი მთელი მოცულობის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს, თანაც მისი უდიდესი ნაწილი მყინვარების სახითაა. ამასთან, ამ მცირედი ნაწილიდანაც კი სასმელად მხოლოდ ერთ პროცენტზე ოდნავ მეტია ვარგისი.**

სასმელი წყლის მარაგის დიდი ნაწილი ციმბირის მარგალიტის ბაიკალის ტბაშია, რომელიც იუნესკომ ინდოეთის ტაჯ-მაჰალთან, ეგვიპტურ პირამიდებთან, ამერიკულ დიდ კანიონთან და მრავალ სხვასთან ერთად, კაცობრიობის მემკვიდრეობად გამოაცხადა, მაგრამ ახლა ამ დიდებული ბუნებრივი წყალსაცავის სიიდან ამოღებას აპირებს. ამის მიზეზი ნახევარი საუკუნის მანძილზე ბაიკალის ტბაზე მოქმედი ცელულოზა-ქაღალდის უზარმაზარი კომბინატია, რომელიც ამ ხნის მანძილზე გადამუშავებული ტექნიკური წყლითა და საწარმოო ნარჩენებით აბინძურებდა ბუნების ამ მშვენებას. ორი წლის წინათ სწორედ ეს გახდა კომბინატის მუშაობის შეწყვეტის მიზეზი, რათა მოძველებული გამწმენდი დანადგარები თანამედროვეებით შეეცვალათ, რაც გააკეთეს კიდეც და წლეულს საწარმო კვლავ ამუშავდა, თუმცა ახალმა ტექნიკურმა აღჭურვილობამ საქმეს ხელი დიდად ვერ შეუწყო და ბაიკალი კვლავ ინტენსიურად ბინძურდება, რაც იუნესკოს გამაფრთხილებელი განცხადების საფუძვლად იქცა. მასმედიაში კომბინატის ამუშავების ორ სავარაუდო მიზეზს ასახელებენ: ერთი ისაა, რომ ამის თაობაზე, თეთრ ცელულოზაზე ფასების გაზრდასთან დაკავშირებით, პრემიერ პუტინს ოლიგარქმა ოლეგ დერიპასკამ პირადად სთხოვა იმ მოტივით, რომ ამით დიდი მოგების მიღებაა შესაძლებელი. მეორე ვერსიით კი საწარმოს ამუშავების მთავარი მიზეზი ისაა, რომ იქ ბალისტიკური რაკეტების მნიშვნელოვან ელემენტს აწარმოებენ. მოკლედ, ასეა თუ ისე, მაგრამ სასმელ წყალთან და თავად უნიკალურ წყალსაცავთან დაკავშირებული ამბები როგორც რუსეთის, ასევე მსოფლიო მასმედიის საშუალებების ყურადღების ცენტრშია მოქცეული.



**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

◉ დღის კალენდარი — 1 ოქტომბერი

**ხსენება წმიდისა დიდმოწამისა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და წმიდათა ორთა ძმათა მოწამეთა შალვასი და ელიზბარისა, ქსნის ერისთავთა (1660-1661ძ; ღირსისა ევმენი სასწაულმოქმედისა, ჰორტინელი ეპისკოპოსისა (VIIძ; მოწამისა არიადნასი (IIძ; მოწამეთა სოფიოსი და ირინესი (IIIძ; მოწამისა კასტორისა.**



ამოდის 05.57
ჩადის 17.43



ამოდის 23.12
ჩადის 13.37

## დაიბადნენ:

1207 — **ჰენრი III,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1272 წელს.
1754 — **პავლე I,** რუსეთის იმპერატორი. გარდაიცვალა 1801 წელს.
1868 — **ივანე ფალიაშვილი,** დირიჟორი, პიანისტი. გარდაიცვალა 1934 წელს.
1886 — **რობერტ ბლეიკი,** ამერიკელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, ნ. მარის მოწაფე, გარდაიცვალა 1950 წელს.

## გარდაიცვალნენ:

1684 — **პიერ კორნელი,** ფრანგი დრამატურგი.
1873 — **ემილ გაბორიო,** ფრანგი მწერალი, დეტექტური ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
1929 — **ემილ ანტუან ბურდელი,** ფრანგი სკულპტორი.
1935 — **ვლადიმირ გილიაროვსკი,** რუსი მწერალი.
1972 — **ლუის ლიკი,** ინგლისელ-კენიელი ანთროპოლოგი და არქეოლოგი.

## მოვლენები:

**1827 წელი** — რუსეთის არმიამ ერევნის ციხე-სიმაგრე აიღო. ერევნის სახანო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.
**1892 წელი** — გაიხსნა ჩიკაგოს უნივერსიტეტი.
**1920 წელი** — ავსტრიამ ახალი კონსტიტუცია მიიღო.
**1924 წელი** — მოსკოვში სატირის თეატრი გაიხსნა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ხანშიშესულთა საერთაშორისო დღე.**
**მუსიკის საერთაშორისო დღე.**
**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა** — გათავისუფლების დღე.
**კამერუნი** — გაერთიანების დღე.
**ნიგერია** — დამოუკიდებლობის დღე.
**სამხრეთ კორეა** — შეიარაღებული ძალების დღე.
**ავსტრალია** — შრომის დღე.

**მედიანიუსი**

### მილოცვა

*საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი გულწრფელად ულოცავს საქართველოში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანებს თავიანთ დღესასწაულს — ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს და უსურვებს მათ ჯანმრთელობასა და მხნეობას.*

**იყიდება სასწრაფოდ!**

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ**
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**აგარაკი ტაბახმელაში**
ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8064 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4585 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8545 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9415 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9852 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2504 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2827 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2412 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7014 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 — +29 |
| ქუთაისი. | +19 — +32 |
| ბათუმი. | +16 — +20 |
| ზუგდიდი. | +17 — +30 |
| თელავი. | +17 — +25 |

◉ კადრი



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

— დედი, მეძახდი? — კითხულობს პატარა მიხო.
— არა.
— მამი, არც შენ მეძახდი?
— არა.
— ბებო, ბაბუ, არც თქვენ დაგიძახიათ ჩემთვის?
— არა.
— კარგი, მაშინ კონკრეტულ კითხვას დაგისვამთ: დღეს საერთოდ შევჭამთ რამეს?

* * *

ავტოინსპექტორი მამა აღვიძებს ავტოინსპექტორ შვილს:
— გაიღვიძე, ბიჭო, სამსახურში გაგვიანდება.
— როგორ მაგვიანდება, რომელი საათია?
— შვიდი.
— ჰოდა, ჯერ ხომ ადრეა!
— რას ჰქვია, ადრეა, მძღოლები უკვე ნახევარ საათზე მეტია, უფასოდ დადიან!



* * *

— რომ განიშნე, რატომ არ გაჩერდი? — ეკითხება ავტოინსპექტორი სვან მძღოლს.
— ადგილი არ მქონდა და, რომ გამეჩერებინა, რაზე დაგაჯენდი?

* * *

— აბა, ახლა ის მითხარი, სად იგრძენი ტკივილი? — ეკითხება ექიმი სვანს.
— სათიბში.

* * *

ალო, ეს კეთილმომსახურების ბიუროა?
— დიახ, რა ჯანდაბა გინდა?!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.